ნოემბერი
1938 წ.
№ 151
პარიზი

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie
Indépendante
Revue mensuelle
NOVEMBRE
1938 — № 151
Paris

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

C-1283

შინაარსი:

მეთაური—გამოფხიზლების გზაზე.
რ. ინგილო—ბედნიერნი და უბედურნი.
ილია ნუცუბიძე—ყოფნა, არ ყოფნა.
ია.—ეროვნული პრობლემა საბჭოთა რუსეთში.
გ. გვაზავა—ჩემი თარგმანი.
კავკასიის კონფედ. საბჭოს დადგენილება.
ნაური—წერილი ამერიკიდან.
ი. ბ.—სასიხარულო შეხვედრა.
ნ. გოგუაძისა—მოწოდება.
სამგლოვიარო ფურცელი. და სხვ.

გამოფხიზლების გზაზე

ჩვენ ვაქცევთ მკითხველის ყურადღებას დანის ფელეტონს «სოციალისტიჩესკი ვესტნიკ» ის ნოემბრის ნომერში, სათაურით: «სოციალისტური ინტერნაციონალი მიუნხენის შემდეგ». ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაუჯავრებია ავტორი ეგზეკუტივის უკანასკნელ მუშაობას ბრიუსელში; ის არ ერიდება, ინტერნაციონალი «გაკოტრებულად» გამოაცხადოს და მზადაა, დაარსოს, თავის მომხრეებთან ერთად, «ახალი ციმერვალდი» მის წინაამდეგ.

რაშია საქმე, რა მოხდა?—კითხულობთ, მაგრამ ვერ ღებულობთ გარკვეულ პასუხს. დანი, მართალია, დაურიდებლად ესხმის თავზე ინტერნაციონალში შემავალ სექციებს და მათ «ოფიციალურ ხელმძღვანელთ» იმისათვის, რომ ისინი დიდ სიფრთხილეს, «გაუბედაობას» იჩენენ, როცა კითხვა ისმის მათი ერების ყოფნა-არყოფნაზე, და არ ილაშქრებენ მისებრ დაუზოგველად (რას აგებს!) ტოტალიტურ სახელმწიფოთა წინაამდეგ. დანი აღშფოთებულია, რომ მიუნხენის შეთანხმებას «აღტაცებაც» კი გამოუწვევია ზოგ სექციაში, და აქედან ცხადია, რომ ის, თვითონ, არჩევდა ეს შეთანხმება სულაც არ მომხდარიყო და, მაშასადამე, ცეცხლი წაკიდებოდა და გადაებუგა ევროპა!

როგორც ხედავთ, დანი სტალინის მოციქულად გვევლინება—ამაზე კიდევ ვნახავთ ზოგიერთ ნიმუშს ქვევით—მაგრამ, უნდა გამოვტყდეთ, ჩვენ მაინც იჭვი შეგვეპარა იმაში, რომ მარტო ეს იწვევდა დანის ეგზომ გულისწყრომას. ორიოდე დღის შემდეგ წავიკითხეთ «ბრძოლის ხმა»-ში მოთავსებული ანგარიში ეკზეკუტივის სხდომების და ჩვენი იჭვიც გაჰქრა! აი, რას ვკითხულობთ იქ, სხვათა შორის: «შემოტანილ იქნა ერთი კერძო რეზოლუცია, რომ დღევანდელ მომენტში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს საფრანგეთის, ინგლისის და საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და სამხედრო კოალიცია... ეს რეზოლუცია არ გავიდა... არ გავიდა არც სხვა წინადადება, რომ საერთო რეზოლუციაში შეეტანათ რაიმე ფორმით საბჭოთა რუსეთთან დაახლოების საჭიროება».

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ხსენებული «კერძო რეზოლუციის» და შესწორებათა ავტორი, იმავე ცნობით, დანი, ზიროომსკი და რუსის ეს ერები ყოფილან,—ჩვენთვის ნათელია, რას აუმხედრებია დანი ინტერნაციონალის წინაამდეგ! მოდით და ნუ გაიკვირვებთ, რად დაგვიმალა დანმა ეს ფრიად საყურადღებო ამბავი, რატომ ედებოდა ის ღობე-ყორეს და მთავარი, არსებითი კი არ გვითხრა. ეს არ ამტკიცებს მის დიდ გამბედაობას, რასაც სხვებს უწუნებდა, როგორც ზევით დავინახეთ.

არსებითი, მაშასადამე, ის არის, რომ დანი და კომპ. სასტიკად დამარცხებულან და ამას კი ისე ადვილად ვერ გაამხელდენ, თავის თავად მისახვედრია. რამდენი წელიწადია, რომ დანი ეწევა აგიტაციას, ეევედრება დემოკრატიულ სახელმწიფოებს,

ინტერნაციონალის ყველა სექციას, რათა საბჭოთა კავშირი გაიამხანაგონ, თუ სურთ თავი «გადაირჩინონ» ომით განადგურებისაგან. პირველ ხანებში მას თითქო ყურსაც უგდებდენ, საფრანგეთის სოციალისტებს ჩვეულებად ჰქონდათ თავის ქვეყნის, ინგლისის და ამერიკის ჩრდილოეთი შტატების გვერდით უთუოდ საბჭოთა კავშირიც დაესახელებიათ, როგორც საყოველთაო ზავისა და დემოკრატიის უდრეკი დარაჯი! მაგრამ რაღა სოციალისტები, როცა ლავალმა ხელი მოაწერა მოსკოვში ფრანგ-რუსთა პაქტს და შემდეგ, ფლანდენის წინადადებით, ის ერთხმად დაადასტურა საფრანგეთის პარლამენტმა.

რაც შეეხება მეორე ინტერნაციონალს, იქაც ხშირად გაისმოდა ხმა საბჭოთა სასარგებლოდ და ზოგიერთნი მოუწოდებდენ თავის და სხვის მთავრობებს მათ დასაცავად გარეშე თავდასხმისაგან. მართალია, ინტერნაციონალი კრიტიკასაც უწევდა დროგამოშვებით საბჭოთა რეჟიმს, როგორც ამას დანიც სჩადის, მაგრამ ეს ხდებოდა უფრო ფორმისათვის, ხოლო არსებითად საქმე ისე იყო წარმოდგენილი, ვითომ საბჭოთა კავშირში რევოლუცია დუღდა და გადმოდიოდა და, მაშასადამე, თავი უნდა გამოედოთ, რომ იქ კონტ-რევოლუციას არ გაემარჯვნა! ჩვენ ისიც გვახსოვს, რომ მარსელის კონგრესზედ ინტერნაციონალმა გამოაცხადა: მიზნით ერთნი ვართ კომუნისტებთან, ხოლო საშუალებით განვირჩევითო!

და რას ვხედავთ დღეს? მთელი ორჭოფობა და გზა-აბნეულობა თითქო ადგილს უთმობს გამოფხიზლებას, ხაზის გამართვას. ინტერნაციონალი თითქო მიხვდა, რა რიგ უტეხდა მას სახელს მოსკოვის გამოსარჩლება, იმ მოსკოვის, რომლის გაუგონარი მტარვალობა, განსაკუთრებით, ჩაგრული ერების მიმართ თავის მზგავს ვერ პოულობს როგორც ძველსა, ისე ახალ ისტორიაში.

მძიმე იყო ქართული სექციის მდგომარეობა. გარეშეთ, ვინც საქმეში ჩახედული არ არის, ზედმეტად, დახეთ, მავნედაც კი მიაჩნდათ მისი ინტერნაციონალში მონაწილეობა. გახსოვთ, ამ მიზეზით მეზობლებიც კი აგვიხირდენ; პოლიგლოტ «კავკაზის» დაბეზღებანი კიდევ სხვაა. არავის ჰქონდა წარმოდგენილი ქართული სექციის ნამდვილი როლი, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ სისტემატურ და მეთოდურ ბრძოლას უწევდა ბოლშევიზანურ ტენდენციებს ინტერნაციონალში. ვინ მოსთვლის, რამდენი დასაბუთებული წერილობითი თუ სიტყვიერი განცხადება გაუკეთებია მას იქ ქართველი ერის, ისე როგორც სხვა ჩაგრულ ერთა, მოსისხლე მტრის, წითელი იმპერიალიზმის ვერაგობისა და ველურობის, მთელ მის გამოუთქმელ დანაშაულთა მზის სინათლეზე გამოსაფენად! ინტერნაციონალის ტრიბუნა, რომელსაც უსმენს ბევრი ათეული მილიონი მშრომელი ხალხი, რომლის რეზოლუციები მსოფლიო პრესაში ქვეყნდება, განურჩევლად მიმართულებისა,—განა უზომო მნიშვნელობის არ იყო და ის უყურადღებოდ არ უნდა დაეტოვებია ქართულ სექციას?

სწორედ ამიტომ ჩვენ ვხედავთ, რომ ქართული სექციის წინაამდეგ დაუღალავად ილაშქრებდენ რუსის სოციალისტები, იმავე დანის მეთაურობით! ჩვენ გვახსოვს, რომ ისინი მის გაძევებასაც კი მოითხოვდენ ინტერნაციონალიდან! ქართველი სოციალდემოკრატები პირწავარდნილი ნაციონალისტები და შოვინისტები არიანო—გაიძახოდენ ისინი. მაგრამ მათ მიზანს ვერ მიაღწიეს, რატომ? იმიტომ, რომ ინტერნაციონალმა არა ერთხელ დაადგინა ერთხმად საქართველოს ტერიტორიიდან რუსის ჯარების გაყვანა, ქართველი ერის დამოუკიდებლობის აღდგენა. მაშასადამე, ბრძოლა რუსეთის ბატონობის წინაამდეგ თვით ინტერნაციონალის მიერ იყო დადასტურებული, და აქედან მას, ბრძოლას, უაღრესად ეროვნული ხასიათი ჰქონდა და აქვს.

თუ ჩვენა ვსთქვით, რომ ინტერნაციონალი საბჭოთა მიმართ თითქო პოზიციას იცვლისთქო, ეს აიხსნება მისი სექციების მეტად საპასუხისმგებლო მდგომარეობით საკუთარ ქვეყნებში. ტყუილად არ ეძგერა დანი თავის ფელეტონში პოლონეთისა და უნგრეთის სექციებს: მათ გაიხარეს და მხარიც კი დაუჭირეს წართმეული ტერიტორიების უკან დაბრუნებასო! ის სწვდა სკანდინავიის სოციალისტებს, რომელთაც, ეს რამდენიმე წელია, სახელმწიფოს საჭე ხელში უჭირავთ: ზავის კოლექტივურ უზრუნველყოფას ზურგი შეაქციესო. ამასვე აბრალებს დანი ბელგიის სოციალისტებს. მოდით და ჰკითხეთ ამ ვაჟბატონს, სად იყო ის, როცა კოლექტივური ზავი დიდმა სახელმწიფოებმა დაასამარეს? სხვანაირად როგორ უნდა მოქცეულიყვენ პატარა სახელმწიფოები?

სრულიად გასაგებია, რომ დანი, მიუხედავად მრავალ-სართულიან ფრაზეოლოგიისა, ნამდვილი რუსის იმპერიალისტია. ჩვენ არაერთხელ აღგვინიშნავს, აქ, რომ ამ მხრივ რუსის სოციალისტთა, კადეტთა და მემარჯვენეთა შორის განსხვავება არ არსებობს, ისინი მთელის ძალღონით, ფანატიკურად ებრძვიან ჩაგრულ ერთა განთავისუფლებას რუსეთის საპყრობილედან. ამით აიხსნება კიდეც, რომ, როცა საბჭოთა კავშირს საშიშროება მოელის გარედან, დანი მოუწოდებს თავისიანებს ამ საპყრობი-

ლეს დასაცავად სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. მასზე ერთგული სტალინს არავინ ჰყავს ინტერნაციონალში! საინტერესოა, როგორ სურს დანს «ახალი ციმერვალდი» შექმნას, იქ ხომ «პორაჟენცები» ისხდნენ, ლენინის მეთაურობით,—ცხადია, მაშასადამე, ის იქ მიიწვევს, სტალინთან ერთად, ესერებს, კა-დეტებს, და გაერთიანებულ შავრაზმელებს!

მეორე ინტერნაციონალი თითქო მიუხვდა რუსის მთლიან, იმპერიალისტური ფრონტის ფანდებს. ცნობილია, ყველა მისი სექცია, თვით საფრანგეთის სოციალისტური სექცია, ანტიკომუნისტურია და, თუ ზოგიერთი მათგანი მაინც ფიქრობდა საბჭოთა კავშირის სამხედრო კოალიციაში შეყვანას, ეს აიხსნებოდა იმით, რომ მათ კიდევ სწამდათ მისი შეიარაღებული ძალების მნიშვნელობა. დღეს ეს ილუზია გაუქარწყლდათ და, პირიქით, შიშობენ, რომ მოსკოვის სააგენტოები, კომუნისტური პარტიები, ზურგში დანას ჩასცემენ თვით მათ საკუთარ შეიარაღებულ ძალებს...

ცნობილია აგრეთვე, რომ ინტერნაციონალში ბევრი გავლენიანი პირი თანამშრომლობს. ყოფილი მინისტრები ან ისეთნი, ვინც ხვალ, შეიძლება, მინისტრები გახდენ, მაგ., ინგლისში თუ საფრანგეთში. ქართული სექციის მათთან უშუალო კავშირის დაჭერა, მათი თანაგრძნობის განმტკიცება ჩვენი ერისადმი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა უნდა იყოს ჩვენი ეროვნული მოღვაწეობისა უცხოეთში.

ბედნიერნი და უბედურნი

(ერთა თვითგამორკვევისათვის)

მე ოდნავაც არ ვიზიარებ იმ აზრს, თითქოს ჩეხოსლოვაკიის დაფლეთა მომხდარიყოს ერთა თვითგამორკვევის პრინციპის აღსასრულებლად. არც ისა მგონია, რომ ეს ამბავი მოასწავებდეს რაიმე კონკრეტულსა და ახალს საიმედო დასაყრდნობებს ახლო მომავალში იმ ერთათვის, რომელნიც იმყოფებიან უცხოთა მფლობელობაში. იმისდამიუხედავად, რომ «თვითგამორკვევის» მანიფესტაციები სხვა და სხვა ხალხთ არა ერთგზით გამოუმჟღავნებიათ საქვეყნოდ, ზოგიერთებს კი ამავე საფუძველზე სახელმწიფოებრივი ნორმალ ცხოვრების აგების შესაძლებლობაც გამოუჩენიათ, მათი აწინდელი მწარე ხვედრით მაინცდამაინც თავს არავინ იტკივებს.

ის, რაც შეემთხვა ჩეხოსლოვაკიას, შემოფარგლული არის თავისი საკუთრივი ხაზით: ამ სახელმწიფოს ირგვლივ თავმოყრილიყო მთელი რიგი ერთგვარ ინტერესებისა, რომელთა მიხედვითაც იქ მობინადრე ამა თუ იმ ელემენტს, ასე ვთქვათ, ბედმა გაუღიმა. და მართლაც, სხვათა ინტერესებს თავი რომ არ ეჩინათ, დღეს «თვითგამორკვეულები» განა ისევ არ იქნებოდნენ მოკლებულნი ბოჰემიის «ესტრადაზე»?!...

ნუ გამოუდგებით ახლა ამას და კმასაყოფელად ჩავთვალოთ აღნუსხვა მხოლოდ იმისა, რომ ქართული იტერესების მიხედვით ჩეხოსლოვაკიის ტრაგედიაში არის ორი აღსანიშნავი მომენტი: რა მოსაზრებებითაც უნდა ყოფილიყო დაფუშული ჩეხოსლოვაკია, იქ მომხდარმა ამბებმა ერებს ყოველს შემთხვევაში ფაქტიურად განთავისუფლება მიანიჭეს მათი მიერთებით კუთვნილებისამებრ. გარდა ამისა, და რაც უფრო ყურადსაღები არის ჩვენთვის, ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიულ-ეთნოგრაფიულ გარდაქმნამ მეწყერივით თან გადიტანა და შთანთქა საბჭოთა რუსეთის პლაცდარმი ევროპის შუაგულში. ეს მეტად სერიოზულ მოვლენად უნდა მივიმჩნიოთ და საფიქრებელია მისი რეალი შედეგები არ დაიყოვნებენ. ამ ფაქტმა, გარეშე თქმულისა, არ შეიძლება არ მოახდინოს ღრმა ცვლილებანი იმ სახელმწიფოთა პოლიტიკაში, რომელთაც რუსეთთან კავშირი უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორად წარმოედგინათ და მაზე ემყარებოდნენ საერთაშორისო მიმართებებაში. არ ერთხელ კი განცხადებულა, რომ ბოლშევიკური რუსეთის იმედი საომარ თავდაცვასა თუ თავდასხმაში ამაო ოცნებაა, რადგანაც თვით ბუნება და თავდაპირველი დანიშნულება კომუნისტურ ინტერნაციონალისა აშენებული არის სრულებით განსხვაებულ ფუნქციებზე სახელმწიფოთა და ერთა მიმართ: საბჭოთა რუსეთი არავის ეომება, ამავე დროს კი ნამდვილად ომობს ყოველთა წინაამდეგ იმ მეთოდებითა და გამოანგარიშებული ზომებით, რაიცა მას შესატყვის პირობებში უკეთესადა და ხელსაყრელად მიაჩნია.

მთელი ამ ხნის განმავლობაში დედამიწის ყველა ნაწილებში რაც კი რამ ხდებოდა სადავიდარაბო: აღრევანი, შეთქმულებანი, პოლიტიკური გაფიცვანი, ჯანყი და ტერორი და, რაც უფრო თავიდათავია, სამოქალაქო ხოცვა-ყლეტა,—ყველა ამისთანა საქმიანობის უსტაბაშად უდავოდ საბჭოთა რუსეთი გამოდიოდა: მოიძებნება სადმე ისეთი კუთხე, თუნდაც მთლად ყრუ და მივარდნილი, სადაც არ გამოინახებოდნენ მოსკოვის ყურმოჭრილი მსახურნი—სულ-ერთია მოხალისენი თუ შესყიდულნი?! აი ამ კომუნისტური ჯარით წითელი კრემლი და მისი აგენტურა კომინტერნი ეწევიან შეუწყვეტელ ბრძოლას, რომელიც მრისხანებითა და შეუბრალებლობითა, სისხლთა დენითა და აწიოკებით აღემატება ყველა ჯურის ომებს! მოსკოვის ინტერნაციონალი სპა აზანზარებს მთელს ქვეყანას! ის ჰსპობს ერებს, ავერანებს დაბა-ქალაქებს, აცამტვერებს ხალხთა დოვლათსა და სამკვიდრებელს!..

თუ სადმე ვისიმე საღმრთო უფლებები შელახულ და დათრგუნვილ არიან, საქართველოს ამ წამე-

ბულთა შორის პირველი რიგი ერგება: ვის და სად, —რომელ სუდეტებსა და მაჯარებს გამოუვლიათ ჩვენებრ სისხლდაწვეთილი გოლგოთის სავალი? თუ სხვებს მხოლოდ ნაწილობრივი უფლებათა შეზღუდვა და პოლიციური შეიწროება განუცდიათ, ქართველი ერის უკანასკნელი ჩვიდმეტი წლის ცხოვრება სამაგიეროდ ხომ ნამდვილ მარტიროლოგიას ემზგავსება! რა არ გადაგვხვდა თავზე ამ შავბნელ წელთა მანძილზე?! რაგვარ დაუჯერებელ. ნამდვილ ჯოჯოხეთურ ზომებისათვის არ მიუმართავს ჩეკის მთავრობას ქართველობის გასატეხადა და მის წინაშე მუცელზე მხოხავ ყმად საქცევად?! რაზომ გამოუთქმელი უნდა ყოფილიყო ერის ტანჯვა და მწუხარება, რომ ის—ერთი მუჭა—თავგანწირულად დასტაკებოდა ბუმბერაზს?! აი სად იყო ამეტყველებული და ამოქმედებული ნამდვილად თვითგამორკვეული ერის შეგნება! განა 1924 წლის სრულიად საქართველოს აზღვაება არ იყო პლებისციტი—უეჭველი და სისხლის მელნით ხელმოწერილი?! ქართველი ხალხის ეროვნული და პოლიტიკური სულისკვეთება განა უცნობი რამ არის კულტურულ სახელმწიფოთათვის?! საქართველოს სუვერენობა და მის უდავო სახელმწიფოებრივი აღმოხატულობა იცნო—შეიძლება თამამად ითქვას—მთელმა კაცობრიობამ. იმ მცირეოდენ დროის განმავლობაში, როდესაც საქართველო თავისი უფალი შეიქმნა, არამც თუ უცხო სახელმწიფოთა ოფიციალი წარმომადგენელნი, არამედ კერძო მოგზაურნი და სტუმარნიც ერთხმად ამოწმებდნენ აღდგენილ სახელმწიფოის შესამჩნევ წინსვლასა და მიხწევებს, იმ სოციალურ ხანძარის მიუხედავად, რაიცა ჩვენი სამშობლოის ირგვლივ ელვარებდა. გაცოცხლებული და ყოველისმხრით გამორკვეული საქართველო უცხოელებს მოსწონდათ და მას უცილობელ უპირატესობას ანიჭებდნენ სხვებთან შედარებით... უცხოელები ეხლა მხოლოდ იგებენ გაკვირვებით—ისიც ზოგიერთ მეტიჩარა და მუზმუზელა ქართველისაგან, რომ დამოუკიდებელი საქართველო თურმე წესიერი სახელმწიფოებრივი სხეული კი არა ყოფილა, არამედ ერის გამცემთა და ყაჩაღთა ბუდე!..

აჯანყების შემდგომ, სისხლით დაცლილი საქართველო ეძებდა სხვა გზებსა და საშუალებებს უცხო უღლის ასაყრელად: სად არ მისულან მისი ჭირისუფალნი ოქმებითა და საბუთებით დატვირთულნი?! ერთა ლიგა ისე დნება, რომ ჯერ კიდევ იმის «ცდაშია», რათა გამონახულ იქმნას «შესაფერისი მომენტი» საქართველოს მდგომარეობის შესასწავლად... მასუკან ხოტბითა და ტრიუმფით შეაბრძანეს საბჭოთა რუსეთი ერთა ლიგაში. კომუნისტურ «აღმატებულებებს» გუნდრუკს უკმევდნენ ყველანი უკლებლივ—დემოკრატიულებიცა და ავტორიტარულებიცა: ერთმაც ხმა-კრინტი არ დაძრა! არავინ გამოდგა გამბედავი, რომ შეჰკითხებოდა საბჭოთა სავარძლებს: რას უშვრებით ჩვენსა და თქვენმიერაც ცნობილ საქართველოს?..

ზემონათქვამი არის ფაქტების ამოკრეფა! სულაც არ ვფიქრობ, რომ თანაგრძნობა წართმეული გვქონოდეს ევროპის საზოგადოებაში. სოციალ ცხოვრებას თავისი წესი აქვს: ყველაფერსა სწყვეტს ძალთა განწყობილება, ობიექტიური, მშრალი გარემოებანი. სახელმწიფოთა ყოფაქცევა უმეტეს შემთხვევებში ნაკარნახევი არის მატერიული ინტერესებით, თუ გნებავთ, პირდაპირ ვაჭრობით. იდეოლოგია ხშირად ფრაზეოლოგიას უდრის! როგორ უნდა დაემდუროთ რომელიმე ლატაკსა და მშიერ სახელმწიფოს, თუკი მას ბოლშევიკებთან ურთიერთობაში აინტერესებს ყოვლის უწინარეს რუსეთის ულეველი სიმდიდრე?! აქ ფრაზები, თუ იდეური მოსაზრებანი უილაჯო არგუმენტებია: უდიდეს და უმძლავრეს სახელმწიფოის პრემიერი როცა აცხადებს, რომ ვაჭრობა კანნიბალებთანაც შესაწყნარებელიაო, ამით მან სქელი წერტილი დაუსვა «იდეოლოგიურ» წუწუნს... აი ძველი ამბავი: იმპერატორ ვესპასიანეს შვილმა უსაყვედურა, რომის შემოსავლის საგრძნობი წყაროა «საშარდოების» გადასახადიდან გეძლევაო; ვესპასიანემ შვილს მუჭით მიუტანა ცხვირთან ფული: აბა, განა სუნი სდისო?!..

ყამთადენაში გამოირკვა, რომ ბოლშევიკურ რუსეთთან ვაჭრობა გაცილებით ნაკლებ საარგებლობას იძლევა იმ ზარალთან შედარებით, რაიცა მოსკოვურ კომუნისტურ კომუნისტუნისტურ პროპაგანდასა და მოქმედებას მოაქვს. თავისთავად ცხადია, რომ ამისა გამო რუსეთისადმი განწყობილება უნდა შეცვლილიყო. საჭირო შეიქმნა მისი სამხედრო საშიშროების აშორებაც, და აი სწორედ ჩეხოსლოვაკიის დანგრევაც ერთერთი საამისო მოვლენა არის.

ის დრო წავიდა, როცა მოსკოვს კოჭი მუდამ ალჩუზე უჯდა! უკანასკნელი ხანა რუსეთს აღარა სწყალობს! აღიკვეთნენ ძველი შესაძლებლობანი, დაიმსხვრნენ კერპები, განქრნენ ამიტომ ილლუზიებიც: დიდ აღმართს დიდი დაღმართიც მოსდევს...

მაგრამ რუსეთს, დაჩაგრულ ერთა გულისათვის, არავინ მიადგება დასანგრევად. «დამ. საქ»-ს წინა ნომრის მეთაური სისწორით აღნიშნავდა ჩეხოსლოვაკიის ამბებისა გამო, რომ ჩვენ უნდა ვერიდოთ ნაჩქარევი დასკვნების გაკეთებას...

ხდება რაღაცა, გარნა ჯერ არაფერი დამთავრებულა! არის ტენდენცია, გარნა ჯერ არსადა სჩანს მისი აღსრულება! ერთია თეორია, მეორეა პრაქტიკა! ყველაფერი დროს უცდის!..

გარედან იქნება, თუ შიგნიდან, კომუნისტური რუსეთი უნდა წაიქცეს. აქეთკენ იფურჩქნება ცხოვრების წიგნი...

დასავლეთითა და აღმოსავლეთით რუსეთი ვეღარა ხედავს მეგობრებს... ჰორიზონტი მოიკუმშა... ქემალ ათათურქის სიკვდილმა ადვილი შესაძლებელია სამხრეთის სახესაც სხვა ნახატები მისცეს...

დგება დრო ძალღონის გამოზომისა და გადამჭრელ მოქმედებისა საქართველოის აღდგენისათვის!

რ. ინგილო.

ᲣᲛᲤᲜᲐ, ᲐᲠ ᲣᲛᲤᲜᲐ

(რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობა)

საერთაშორისო ცხოვრების ტემპი აჩქარებულია. უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის პროცესები არაჩვეულებრივი სისწრაფით იქმნებიან და ვითარდებიან. იბადებიან ახალი ძალები, ახალი კომბინაციები, აღსავსე უაღრესად ღრმა ნაციონალ-პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიური და სხვა შედეგებით. ჩვენ ამ მოვლენებს მხოლოდ ერთი მხრიდან უდგებით, ერთი თვალსაზრისით ვაფასებთ. ყველაფერი ის, რაც საქართველოს აღდგენას, მის ძლიერებას, თავისუფალ და ბედნიერ ცხოვრებას ხელს შეუწყობს, პროგრესიულია, მიზანშეწონილია, მორალურია და მაშასადამე მოსაწონი და მისაღებია. ჩვენი მუშაობაც ამ ეროვნული მიზანშეწონილობის თვალსაზრისით უნდა იყოს აწყობილი და მომართული.

დღეს საქართველო რუსეთს უპყრია. რუსეთია ჩვენი მტერი, ჩვენი ჯალათი. ჩვენი ბედნიერება მისი უბედურებაა, ისე როგორც მისი უბედურება ჩვენი ბედნიერებაა. ამიტომ ჩვენთვის მეტად საინტერესოა ვიცოდეთ, როგორია რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობა, ამოდის მისი ვარსკვლავი თუ ჩადის.

დღეს «რუსეთის საკითხი», ისე როგორც გენუეს ეპოქაში, იჭრება საერთაშორისო პოლიტიკის ცენტრში. მაგრამ ახლა ამ გარემოებაში გამოსჭვივის არა გაუმჯობესება, არამედ საგრძნობი გაუარესება რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობის. ურთიერთობა საბჭოებსა და დიდ სახელმწიფოებს შორის არა მარტო ევროპის, არამედ ამერიკის და აზიის ღებულობს მეტად სახიფათო მიმართულებას. რასაკვირველია არავითარ «ჯვაროსნულ ომზე» საბჭოების წინაამდეგ ლაპარაკი არაა, არც საერთო ანტისაბჭოური «საღვთო კავშირია» ჯერჯერობით შექმნილი, მაგრამ ერთი ფრონტის შექმნა ბოლშევიკების წინაამდეგ, რომ დღის წესრიგშია,—ეს უდაო ფაქტია. ეს უდიდესი სიმპტომატური მნიშვნელობის ფაქტია. ეს გარემოება, დამოუკიდებლად შედეგებისა, რომელიც შეიძლება მას მოჰყვეს, თავისთავად ნათელჰყოფს, თუ როგორ ღრმად შეიცვალა საერთაშორისო დიპლომატიის ხელმძღვანელ წრეებში შეხედულობა «რუსულ პრობლემაზე».

ბოლშევიკური რუსეთის იმპერიალისტური მიზნები და ზრახვები აშკარაა, მაგრამ ამ გარემოებით არ აიხსნება ანტირუსული საერთაშორისო ზღუდეების შენება. იმპერიალისტური სულისკვეთება და მოქმედება ყველა დიდი სახელმწიფოს ბუნებაშია. ყოველი ძლიერი სახელმწიფო ცდილობს თავის სახელმწიფოებრივ «მეს» გაფართოებას და გაძლიერებას გარედ. ამ ხაზით განსხვავება ბოლშევიკურ რუსეთსა და მის კაპიტალისტურ გარემოცვას შორის არ არის. ამიტომ გაუგებრობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ერთი და იგივე საერთო ხასიათის ვითარება მხოლოდ ანტირუსულ საერთო დაჯგუფებას იწვევს, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნები ამ მხრივ დაზღვეულნი არიან. იმპერიალისტური ქვეყნები ერთმანეთს ებრძვიან. ხშირად ეს ბრძოლები სისხლიანიცაა, მაგრამ მათ საერთო თანამშრომლობის და საქმიანობისათვის საერთო ნიადაგის გამონახვაც ეხერხებათ. ბოლშევიკური რუსეთის მდგომარეობა კი ამ მხრივ განსაკუთრებულია. მასთან საერთო ნიადაგის გამონახვა და თანამშრომლობა შეუძლებელია. მასა და მის გარეშე კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის უფსკრულია. იყო ცდები ამ უფსკრულზე ხიდის გადების, მაგრამ ამაოდ. ოცი წლის პრაქტიკამ ნათელჰყო, რომ ჯანსაღი ურთიერთობის დამყარება ბოლშევიკურ რუსეთთან არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია. ამის მიზეზი ბოლშევიზმია.

ბოლშევიკურ რუსეთს მუდამ ორი მოვლენა ახასიათებდა: იმპერიალიზმი და ანარქო-რევოლუციონიზმი. ეს ორი მოვლენა ერთი მეორეზე გადაწნილ-გადახლართულია. მათი განხორციელებისის საშვალებებიც ასევე შეზავებულია ორივე ელემენტიდან. ანარქო-რევოლუციონური იმპერიალიზმი და იმპერიალისტური ანარქო-რევოლუციონიზმი,—აი პროგრამა და მოქმედება მოსკოვისა მსოფლიოში, როგორც ევროპა-აზიაში, ისე ამერიკაში.

ბოლშევიკებისათვის რუსეთის სინამდვილეში ყველაფერი დასაშვები და შესაძლებელი შეიქნა. ასევე შესაძლებლად ჩასთვალეს მათ რუსული მეთოდების უცხოეთში გადატანა და იქაური ვითარების რუსულად, ბოლშევიკურად გადამუშავება-აწყობა. თუ როგორ და რა პირობებში ხდებოდა ეს ბოლშევიკური «ვარჯიშობა» უცხოეთში და რა შედეგები მოიტანა მან ბოლშევიკებისათვის და თვით რუსეთისათვის, ამას ნათლად დავინახავთ შემდეგი მოკლე მიმოხილვიდან.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ბოლშევიზმს არავითარი ნიადაგი არ ექნებოდა ევროპაში, რომ ვერსალის ზავს არ გაეყო ის ორ ბანაკად: გამარჯვებულ და დამარცხებულად. ბოლშევიკური დიპლომატია ცდილობს კარჩაკეტილობას თავი დაახწიოს, საერთაშორისო სარბიელზე გამოვიდეს, მსოფლიო როლი ითამაშოს, მაგრამ გამარჯვებული ქვეყნების კარები მას ყველგან დახურული ხვდება. ამიტომ, ბუნებრივად, ბოლშევიკები დამარცხებულთა კარებს ურაკუნებენ და ანარქო-რევოლუციონური კაპიტალის შეძენას იქ ცდილობენ. პირველი ცდა ამ მხრივ მცირე და წინააზიისაკენ უნდა მიმართულიყო, სადაც, მიუხედავად ზავის ჩამოგდებისა, კიდევ ღვიოდა ომის ცეცხლი და სადაც გამარჯვებულთა ქვეყნების ინტერესები ერთიმეორეს მკაცრად ეხეთქებოდენ.

თავდაპირველად იყო გაცხოველებული მუშაობა ანატოლიაში, მჭიდრო კავშირი ქემალ ფაშასთან. ამავე დროს მოსკოვი ცდილობს სპარსეთის გადმობირებას, იქედან იხსნება გზები ავღანისტან და ინდოეთისაკენ. მოსკოვი არ ზოგავს არავითარ საშვალებას ამ ქვეყნებში ფეხის მომაგრებისათვის. იხარჯება დიდძალი ოქრო, ამუშავებულია ურიცხვი აგე-

ნტი. მოსკოვს სწამს, რომ მისი პოლიტიკა და დიდი მატერიალური მსხვერპლი მისცემს მას მცირე და წინააზიაში უპირატესობას და საბოლოოდ გააძევებს იქედან სხვა უცხო გავლენას. ის უკვე ოცნებობს დარდანელზე გაბატონებას თურქეთის თავის ორბიტაში ჩათრევით. ვიცით, რომ ეს ცდა დამარცხდა. თურქეთი მომაგრდა რუსეთის დახმარებით, გააუქმა სევრის ხელშეკრულობა, შეჰკრა ლოზანაში მოკავშირეებთან ხელშეკრულობა ახალ საფუძველზე და უღალატა ბოლშევიკებს ძირითად საკითხში—(სრუტეების საკითხში) და მით ლახვარი ჩასცა როგორც ბოლშევიზმს, ისე თვით რუსეთს.

სპარსეთმა თავის მხრივ კარგად გამოიყენა მოსკოვის დახმარება, რომ გაენთავისუფლებია თავი ინგლისის კლანჭებიდან, მაგრამ ამას არ შეუშლია მისთვის ხელი, მიეღო ინგლისისაგან ახალ პირობებში დახმარება ბოლშევიკების წინაამდეგ საბრძოლველად. სპარსეთმა ისარგებლა ბოლშევიკების და ინგლისელების ბრძოლა და ორმაგი პოლიტიკის წარმოებით, საკუთარი საქმე გამოიკეთა, ქვეყნის სრული დამოუკიდებლობა აღადგინა.

ახლო აღმოსავლეთური ბოლშევიკური პოლიტიკა დამარცხდა. ახლა მოსკოვი ევროპაში ეძებს ნიადაგს. აქაც, ისე როგორც აღმოსავლეთში, ბოლშევიკები მიზანში იღებენ დამარცხებულ ქვეყნებს და პირველ რიგში, რასაკვირველია, გერმანიას. ევროპაში ბოლშევიკები ყოველთვის ორი გზით მოქმედებდენ. ერთი მხრით ცდილობენ კომუნისტური მოძრაობის გაძლიერებას და მეორეს მხრით საქმიან პოლიტიკურ-ეკონომიურ ურთიერთობის შექმნას ევროპის სახელმწიფოებთან, მათთან სხვადასხვა კომბინაციებში შესვლას და მით ერთნაირი როლის თამაშს საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტაში. მოსკოვი დიდ იმედებს ამყარებდა კაპიტალისტური ქვეყნების კონფლიქტებსა და ანტაგონიზმებზე. ამ კომფლიქტების და ანტაგონიზმების მოხერხებული გამოყენებით ანგარიშობდა საკუთარი დიპლომატიური პოზიციების გამაგრებას. ეკონომიური კრიზისების სიმწვავე კი კომინტერნს კარგ გუნებაზე აყენებდა და უხვი სამკალის პერსპექტივებს უშლიდა. ამ მხრივ გერმანიის მდგომარეობა მეტად მომხიბლავი იყო მოსკოვისათვის. ისიც მას მიადგა. მაგრამ არც აქ გაუმართლდა ბოლშევიკებს იმედები. გერმანიამ დანგრეული ეკონომიკა აღადგინა. ამით ბოლშევიკური პროპაგანდისათვის ნიადაგი გაუარესდა. ამავე დროს იშვა ლოკარნო. გერმანია შევიდა ევროპის ახლად შექმნილ სისტემაში და მისი საერთაშორისო მდგომარეობა საგრძნობლად გამოკეთდა. გერმანია იხედებოდა აღმოსავლეთისაკენ იმიტომ, რომ დასავლეთის კარები მისთვის დაკეტილი იყო. გაიღო თუ არა ეს კარები, გერმანიამ შეაბრუნა თავისი საგარეო პოლიტიკის ორიენტაცია. ამ შემთხვევაში რაპალომ გაუწია გერმანიას დაუფასებელი სამსახური. მან დიდად შეუწყო ხელი მის საერთაშორისო მდგომარეობის გამოკეთებას. რაპალოს ხელშეკრულების შემდეგ, დაახლოვება გერმანიასთან ლოდიკური აუცილებლობით დაისვა შეთანხმების სახელმწიფოთა დღის წესრიგში. გერმანიის დიპლომატიამ საუკეთესოდ გამოიყენა რაპალო. მასთან სულ მეტ და მეტ დათმობებზე მიდიან, რომ ჩამოაცილონ ის საბჭოებს, ბოლშევიკები ცდილობდენ და იმედოვნებდენ რაპალოს თავის სასარგებლოდ გამოყენებას. მოხდა კი წინაამდეგი. რაპალომ საბჭოები ევროპას დააშორა, იმის მაგივრად, რომ დაეახლოვებია.

მართალია, გერმანიასთან კავშირმა რამოდენიმედ შეუწყო ხელი საბჭოების ცნობას დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მიერ. მაგრამ ეს ცნობა დარჩა ცარიელი იურიდული აქტი. მას შედეგად არ მოჰყოლია რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესება. ის ძველებურად დარჩა გარიყული ევროპის საქმეებიდან.

გერმანიამ ისარგებლა მოსკოვი და შემდეგ მას ზურგი შეაქცია. ისე როგორც აზიაში, აქაც რუსეთს სარგებლობენ, სანამ ეს ესაჭიროებათ საკუთარი საშინაო და საგარეო მდგომარეობის გამოსაკეთებლად და როგორც კი სულს მოიბრუნებენ, ფეხს მოიდგამენ, მყისვე «მოკეთეს», «დამხმარეს» ზურგს შეაქცევენ და მის მოწინაამდეგე ბანაკში გადადიან. ეს ხდება იმიტომ, რომ ბუნებრივი მოკავშირეები საბჭოებს არ ჰყოლიათ. როგორც აზიაში, ისე ევროპაში, თუ უკავშირდებოდენ მას, ეს იყო იძულებითი ნაბიჯი, გამოწვეული ავადმყოფური მდგომარეობით და, ცხადია, ასეთი კავშირი ხანგრძლივი და სერიოზული ვერ იქნებოდა. ბოლშევიზმის ბუნება და მეთოდები ისე მიუღებელი იყო მათთვის, ვინც მას უკავშირდებოდა, როგორც იმათთვის, ვინც მათ ებრძოდა.

ბოლშევიკები შეეცადენ, დამკვიდრებულიყვენ ევროპაში დამარცხებულების საშვალებით. მაგრამ დამარცხებულების მდგომარეობა შეიცვალა. ურთიერთობა გამარჯვებულთა და დამარცხებულთა გაუმჯობესდა. ვერსალის ზავის პირობები შემსუბუქდა. ევროპა თანდათან იღებს საქმიან სახეს და ბოლშევიკებსაც ეცლებათ აქ ნიადაგი.

გარიყული წინააზიიდან და ევროპიდან, ბოლშევიკები მიადგენ შორეულ აღმოსავლეთს და აქ შეეცადენ გამაგრებას. აქ ნიადაგი ბოლშევიკური პროპაგანდისათვის საკმაოდ მომზადებული იყო. უცხო კაპიტალის ბატონობა, საშინელი მევახშეობა და ექსპლოატაცია მშრომელი მასების გაბატონებული კლასების მიერ, გაუთავებელი სამოქალაქო ომები, სიღატაკე, უუფლებობა, გადამდები სნეულებანი, საერთო ანარქია და სხვა,—ყველაფერი ეს ჰქმნიდა მოსკოვის აგენტებისათვის საუკეთესო პირობებს.

ბოლშევიკებმა ეს უხვად ისარგებლეს, შეჰქმნეს იქ კომუნისტური რაზმები და ჩინეთის თვალსაჩინო ტერიტორიაზე ბოლშევიკური ხელისუფლება გამოაცხადეს. ბოლშევიკების წარმატებითი მუშაობა შორეულ აღმოსავლეთში კიდევ უფრო აღრმავებს ანტაგონიზმს საბჭოებსა და ევროპას შორის.

ევროპაში ცხოვრება თავის გზით მიმდინარეობს. იქმნება ახალი პირობები, ახალი კომბინაციე-

ბი. გერმანია თანდათან ხდება აქტიური მოქმედი ძალა ამ კომბინაციებში. ეს პროცესი მთავრდება გერმანიის ერთა ლიგაში შესვლით, საერთაშორისო სასწორზე გერმანია უკვე წარმოადგენს საგრძნობ ძალას. არსებული წონასწორობა ირღვევა. მის შესანარჩუნებლად, დაინტერესებული ქვეყნების დახმარებით, რუსეთიც იქნა დაშვებული ერთა ლიგაში. ამით თითქოს გაუმჯობესდა საბჭოების მდგომარეობა, მაგრამ არსებითად არაფერი გამოცვლილა. საბჭოების წარმომადგენლებს ერთა ლიგაში არავითარ ანგარიშს არ უწევენ. ისინი არც ერთ მნიშვნელოვან საკითხში არამც თუ გადამწყვეტ, უბრალო მრჩეველის როლსაც კი ვერ თამაშობენ. თუ სახელმწიფოებრივად ბოლშევიკებმა ერთა ლიგაში შესვლით ვერაფერი მოიგეს, ბოლშევიზმა იდეოლოგიურად, როგორც ფილოსოფიულ-პოლიტიკურმა მოძღვრებამ, ბევრი დაჰკარგა. მოსკოვი ჩაეკონა იმ დაწესებულებას, რომელსაც ყოველივე ბოროტების წყაროდ თვლიდა და რომელსაც მუდამ გააფთრებით ებრძოდა. თაყვანი სცა მას, რასაც აფურთხებდა და შეაფურთხა მას, რასაც თაყვანსა სცემდა. კომუნისტური პროპაგანდის თვალსაზრისით ერთა ლიგაში შესვლა, ვერსალის ზავის მიერ შექმნილ სტატუს-ქვოს დამცველ ორგანოში, უეჭველად მინუსი იყო მოსკოვის პოლიტიკის. ფართო მასებს მანევრები არ ესმით. გარკვეული მიზანი, მისი ნათლად დასახვა და მისთვის თავდადებული, ფანატიკური, არა მიკიბულ-მოკიბული ბრძოლა,—აი რა არევოლიუციონერებს და ამოქმედებს მასებს და არა საეჭვო კომბინაციები და დიპლომატიური მახინაციები. ბოლშევიკები ამ მახინაციებს და კომბინაციებს უნდებიან. მათი წარმომადგენლები ერთა ლიგაში დიპლომატიურ ხრიკების ქსელს აბამენ. ამავე დროს ცხოვრების წიაღში ახალი პირობები იქმნებიან და ვითარდებიან. რეალურ ძალთა განწყობილება შესაფერ გარეგან გამოხატულებას ეძებს. გერმანიის ერთა ლიგაში მიღება თითქოს რაღაც წყალობა იყო მისთვის. გამარჯვებულებმა დამარცხებული, დამორჩილებული მონა გაითანასწორეს, გვერდში მოისვეს. მაგრამ დრო თავის სიტყვას ამბობს. ისაა ერთად ერთი ყოვლის შემძლე, ყოვლის შემქნელი და ყოვლის შემმუსვრელი. გერმანია არაა კმაყოფილი თავისი მდგომარეობით. შეღავათები და დათმობები, რომლითაც მასთან მიდიან, მას არ ამშვიდებს. გერმანიას უნდა სავსებით დაგლიჯოს ვერსალის ჯაჭვები და საერთაშორისო სარბიელზე ფართოდ, სუვერენულად, აქტიურად გამოვიდეს. ეს ერთა ლიგის საშვალებით შეუძლებელია. გერმანიაში ხდება რევოლუცია. დემოკრატიული რეჟიმი იცვლება ტოტალიტარულით და გერმანია გადის ერთა ლიგიდან. ამით საერთაშორისო ვითარება ძირიანად იცვლება. გერმანიამ მოიკრიფა ძალა და ვერსალის ხელშეკრულობის მუხლების გაუქმებას ცალიხრივად შეუდგა. მეთოდი—ძალა და ფაქტის წინაშე დაყენება, მოლაპარაკების და მორიგების ნაცვლად. ვერსალის ხელშეკრულობა ფაქტიურად თანდათან უქმდება და არალეგალურად იქმნება ახალი ევროპიული ურთიერთობა. ამ ახალ ურთიერთობაში მოსკოვის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური რევოლუცია შეიქნა, როგორც ანტივერსალური და ანტილიგური, ისე ანტიბოლშევიკური მოძრაობა, ბერლინი პირდაპირ წინააღუდგა მოსკოვს და მის ევროპისკენ სვლას აქტიურად შეებრძოლა. ამის შედეგად გაჰკრა ბოლშევიზმი ცენტრალურ ევროპასა და ბალკანეთში სავსებით.

შორეულ აღმოსავლეთშიც მდგომარეობამ ახალი სახე მიიღო. იაპონია მილიტარულად ჩაერია ჩინეთის საქმეებში. მისი ხმალი ბასრად სრჭრის. ბოლშევიკურ ანარქიას ბოლოს უღებს, მოსკოვი იდევნება ჩინეთიდან და მაგრად ეხურება იქ შესასვლელი კარები. ამგვარად მოსკოვს დამარცხება დამარცხებაზე მოდის. უბედური კაცის თქმულება: «საითაც გავიქეცი, იქეთ წავიქეცი», მასზე სავსებით სრულდება. მოსკოვმა, საითაც გაიწია, იქეთ მოიტეხა კისერი. მიუნხენის ხელშეკრულება მოსკოვის იზოლიაციას ასრულებს. ამ ხელშეკრულებამ მისცა ფორმალური სანქცია არსებულ რეალულ ძალთა ვითარებას. ახალი ძალთა ვითარება ძირიანად ეწინააღმდეგებოდა ვერსალის მიერ შექმნილ ევროპიულ სისტემას. ის გაუქმდა. შეიქმნა ახალი ევროპიული სისტემა. ამ სისტემის შექმნაში საბჭოთა რუსეთს, რომელიც დედამიწის ერთი მეექვსედია და რომელიც ევროპიულ სახელმწიფოდ ითვლება, არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. ასე დამცირებული, დაჩიჩავებული რუსეთი, ვგონებ, რიურიკების დროსაც კი არ ყოფილა. მით უფრო საგრძნობია ეს გარემოება, რომ რუსეთს რასიული, რელიგიური, თუ პოლიტიკური მოტივებით, მუდამ ბალკანეთის ერების პროტექტორად მოჰქონდა თავი. მიუნხენში ბალკანეთის ბედი გადაწყდა ისე, რომ რუსეთი არავის გახსენებია, თითქოს ის არც არსებობდა დედამიწაზე. ასეთ მდგომარეობას, კიდეც არსებობდე და კიდეც არა, ცოცხალ-მკვდარის მდგომარეობა ჰქვია.

ჩვენ სრულებით ობიექტიურად აღვნიშნეთ ამ ოცი წლის განმავლობაში საბჭოების თავგადასავალი ევროპა აზიაში და დავინახეთ, რომ აქა იქ თუ იყო დროებითი, მოჩვენებითი, გარეგნული წარმატება, არსებითად, რეალურად მათი მდგომარეობა თანდათან უარესდება, როგორც სახელმწიფოებრივად, ისე იდეოლოგიურ-მორალურად. ამ პროცესმა საბედისწერო საზღვარს მიაღწია. რუსეთი ირიყება ევროპიდან. იქნება ახალი ევროპა ურუსეთოდ. ევროპიული საკითხები, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც რუსეთს პირდაპირ ეხებიან, წყდება უმისოდ და მის ხარჯზე. საბჭოთა რუსეთის მტრები მაგრდებიან. მოკეთენი კი მას თითქოს არ ყვანან. ეს ისეთი მდგომარეობა, რომელიც კარგს არაფერს უქადის მოსკოვის ტირანებს. მათი ყოფნა, არ ყოფნის საკითხი ისმება.

დეე მიეზღოს ყოველივეს საქმისამებრ თვისისა.

ილია ნუცუბიძე.

ეროვნული პრობლემა საბჭოთა რუსეთში

მ. ა. სლავინსკი: «ნაციონალნო-გოსუდარსტვენნაია პრობლემა ვ ს. ს. ს. რ.»—პარიზი, 1938 წ.—რუსულ ენაზე («ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემა საბჭოთა სოც. რესპუბლიკათა კავშირში»).

ამ წიგნის გაცნობა სასარგებლოა ყველასთვის, ვისაც აინტერესებს ეროვნული პრობლემა საბჭოთა კავშირში. ავტორი, თვითონ უკრაინელი, რუსეთის კარგი მცოდნეა და აქტიური მონაწილეც იყო წარსულში რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრების; რუსის ცნობილ ლიბერალურ ჟურნალების თვალსაჩინო თანამშრომელი, იგი თავიდანვე დაინტერესებული იყო ეროვნულ საკითხის შესწავლით და ეროვნებათა მდგომარეობით რუსეთში და ახლაც ამ საკითხზე სწერს. მისი აზრი ისაა, რომ საბჭოთა კავშირი ეროვნულ სახელმწიფოებად დანაწილდება და რომ, —შეიძლება «ბრძოლით და სისხლით»,—ეს დანაწილება აუცილებელია. აი ამ აზრის დასაბუთებას ემსახურება მისი წიგნი და ჩვენც ამას, ძალიან მოკლედ, გავაცნობთ ქვევით ჩვენს მკითხველს.

ბრძოლა ერისთვის და სახელმწიფოსთვის დასავლეთ ევროპაში უკანასკნელ საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა ორი მიმართულებით: ერთნი ფიქრობდენ, რომ რამდენი ერია, იმდენი სახელმწიფო უნდა არსებობდეს, თვითოეულ ერს თავისი საკუთარი სახელმწიფო უნდა ჰქონდესო (ბლიუნჩლი); მეორენი კი იმ აზრს ადგენ, რომ მრავალ ერიან სახელმწიფოში მხოლოდ ერთია სახელმწიფოებრივი ერი, დანარჩენი ერები კი იმას უნდა შეეწიროს, უნდა გაჰქრენო, ამ ორ თეზაში დასავლეთ ევროპაში პირველმა გაიმარჯვა: გაერთიანდა იტალია, გაერთიანდა გერმანია, ხოლო ცენტრალურ ევროპაშიც, წინაამდეგ, მრავალ ერიან იმპერიების ადგილზე აღორძინდენ დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოები. ერთად-ერთ რუსეთში დარჩა ძველი მდგომარეობა, ძალიან მცირე შესწორებით. ერები 1917 წ. რუსეთსაც გამოეყვენ და საკუთარი სახელმწიფოები დაარსეს, მაგრამ შემდეგ წლებში ბევრი იმათგანი რუსის ჯარების მიერ ხელახლა დაპყრობილ იქმნა, ბრძოლა ეროვნულ თავისუფლებისთვის რუსეთში გრძელდება.

ცნობილია, რომ იმპერატორთა რუსეთი ფრიად მრავალერიანი სახელმწიფო იყო და არსებითად კოლონიალურ სახელმწიფოს წარმოადგენდა, თუმცა ევროპის კოლონიალურ სახელმწიფოებისაგან იგი ბევრით განირჩეოდა: უპირველეს ყოვლისა, განირჩეოდა იმით, რომ რუსეთის კოლონიების მნიშვნელოვანი ნაწილი იმყოფებოდა ევროპაში, სადაც კოლონიები ძალიან დიდი ხანია გაჰქრენ (თუ გიბრალტარს არ დავასახელებთ) და ახლანდელ დროში ამას ადგილი აქ არ უნდა ჰქონებოდა. მეორე განსხვავება ის იყო, რომ რუსეთის იმპერია ერთ მთლიან ტერიტორიას წარმოადგენდა და მეტროპოლიად და კოლონიებად დაყოფის მაგიერ იქ შინაური ადმინისტრატიული საზღვრები იყო გატარებული; უფლებრივადაც თითქოს ყველანი (ებრაელების და პოლონელების გარდა) თანასწორნი იყვენ, ფაქტიურად კი რუსები პირველ ხარისხის მოქალაქეებს წარმოადგენდენ, დანარჩენები კი,—«ინოროდცებს» რომ უწოდებდენ,—მეორე ხარისხისას; ეს უკანასკნელნი საშინელ ჩაგვრას განიცდიდენ კულტურულად, ფისკალურად, ეკონომიურად. ველიკოროსები რუსეთის იმპერიაში მთელი მოსახლეობის 47 პროც. წარმოადგენდენ (1897 წლის აღწერით) და ეს პროპორცია გაბატონებულ და დამორჩილებულ ერებს შორის, თუმცა ევროპის კოლონიალურ სახელმწიფოებისთვის სრულიად საკმარისად არის მიჩნეული (ბრიტანეთის იმპერიაში 15 პროც. არ აღემატება), რუსებს არ აკმაყოფილებდა და ისინი უკრაინელებს, ისე როგორც ბელორუსებსაც, ისეთსავე რუსებად აცხადებდენ, როგორც ველიკოროსებს, რა არის, გაბატონებული ერის (რუსის) მოსახლეობა 55 პროც. გამოეყვანათ. გამარუსებელი პოლიტიკა ისეთი ძლიერი იყო, რომ ჩრდილოეთში ფინლანდიას და სამხრეთში კავკასიას და თურქენისტანს-ღა შერჩა ზოგი ეროვნული დაწესებულება და საჯაროთ მხოლოდ იქ ისმოდა ეროვნული ენა. ამიტომ ბევრს, გარეშე მაყურებელს, ეგონა, რომ რუსეთის სახელმწ. აპარატი მართლაც გადახარშავდა, დენაციონალიზაციას მოუხდენდა რუსეთში შემავალ ერებს; მაგრამ მათთვის შეუმჩნეველი რჩებოდა ერთი გარემოება, რომელიც აგრეედვე ანსხვავებდა რუსეთს სხვა კოლონიალურ სახელმწიფოებისაგან, სახელდობრ: რუსეთში გაბატონებული ერი,—თუ სახეში მივიღებთ მასას, ხალხის უმრავლესობას და არა რჩეულთ,—კულტურულად უფრო ჩამორჩენილი იყო, ვინემ ბევრი მის მიერ დამორჩილებული ერი. ამ გარემოებას ფატალური მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის იმპერიისთვის და ეს აღმოჩნდა კიდეც 1917 წლის რევოლუციის დროს და კიდევ უფრო ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ.

რუსეთის გამარუსებელ პოლიტიკის საგანი იყო ერთი-ერიან სახელმწიფოს შექმნა. ამას ემსახურებოდა ერთის მხრით იმპერიის სახელმწიფო აპარატი, ხოლო მეორე მხრით—რუსეთის «საზოგადოებრივობა». ამ «საზოგადოებრივობაში» ავტორი ჰგულისხმობს საზოგადოების რჩეულთ (ელიტა), საზოგადოების ზედა-ფენებს, ინტელიგენციას, როგორც მპყრობელ, ისე დაპყრობილ ერებისას—ერთად აღებულს. ეს ელიტა ჰქმნიდა ერთს, გაერთიანებულს «საიმპერიო ნაციას», სადაც უნდა გათქვლეფილიყო ყველა ერის წარმომადგენლები. ესეც ევროპის სახელმწიფოების წაბაძვა იყო, სადაც გაბატონებულ ერის რჩეულნი (ელიტა), მაღალი ფენები, მართლაც იზიდავდენ დამორჩილებულ ერების ზედა ფენებს და თავის წიაღში ითქვიფავდენ; ამნაირად იქ გაბატონებული ერი ძლიერდებოდა დამორჩილებულ ერთა ხარჯზე. რუსეთში არც ეს მოხერხდა იმ უბრალო გარემოების გამო, რომ მპყრობელი ერი—ველიკოროსები არ წარმოადგენდენ «საიმპერიო ნაციისთვის» ისეთ ბაზას, რომ კუ-

ლტურულად იმპერიაში შემავალ ყველა ერზე მაღლა მდგარიყო; მათი გამაერთიანებელი იყო მხოლოდ რუსული სალიტერატურო ენა, მეტი არაფერი. «საიმპერიო ნაციის» შექმნა ფანტაზია გამოდგა, რაც ბოლოს და ბოლოს თვით ველიკოროსებმაც იგრძვნეს. დიდი-დიდი რაც ამ ცდას მოჰყვა, ის იყო, რომ გამომუშავდა განსაკუთრებული ტიპის კაცები, რომელნიც ორს ერს ეკუთვნოდენ: ერთის მხრით, ესენი ფიქრობდენ და მოქმედებდენ, როგორც რუსეთის მცხოვრებნი (როსსიანე), მეორე მხრით კი რჩებოდენ—ველიკოროსებად, უკრაინელებად, ებრაელებად, ქართველებად, სომხებად და სხვ. რუსეთი მრავალერიან სახელმწიფოდ დარჩა.

დამორჩილებულ ერების ბრძოლას რუსეთის წინაამდეგ ავტორი პერიოდებად ჰყოფს. პირველ პერიოდში დამორჩილებულნი იარაღით ფიქრობდენ თავის განთავისუფლებას; უკანასკნელი აჯანყება უკრაინაში 1855 წ. მოხდა, პოლონეთი ისე, როგორც კავკასია საბოლოოდ დაპყრობილნი გასულ საუკუნის მე-60 წლებში იყვენ მხოლოდ, ხოლო თურქესტანში აჯანყებას რუსეთის წინაამდეგ დიდი ომის დროსაც, 1916 წ., ჰქონდა ადგილი. მეორე პერიოდი ამ ბრძოლის მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება. ახლა დაპყრობილი ერები იარაღით ბრძოლის მაგიერ ორგანიულ მუშაობას შეუდგენ, შეეცადენ არსებულ პირობების გამოყენებას თავის ერის კულტურულ და მატერიალურ გაღონიერებისთვის და ამის გამოყენებას რუსეთის ბატონობის წინაამდეგ. ამ მუშაობას, რომელიც სხვადასხვა ფორმას იღებდა, ხან ლეგალურს და ხან არალეგალურს, უნაყოფოდ არ ჩაუვლია; გაიზარდა ეროვნული თვითშეგნება დამორჩილებულ ერებში, ეროვნულ შენობისთვის ჩაიყარა მტკიცე საფუძველი და ამ საფუძველზე თვით შენობის, ეროვნულ სახელმწიფოს, აგება-ღა იყო საჭირო. რადგან რუსეთის პირობებში, თვით 1905 წლის რევოლუციის დროსაც კი, ამ ლოზუნგის აშკარად წამოყენება შეუძლებელი იყო, ჩვენ ვხედავთ აშკარად მხოლოდ კომპრომისულ მოთხოვნილებებს ავტონომია-ფედერაციისას და სხვ. ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა 1917 წლამდის.

ავტორის აზრით 1917 წ. თებერვალში რუსეთში რევოლუცია კი არ მომხდარა, არამედ გრანდიოზული სახელმწიფო კატასტროფა მოხდა: რუსეთი დაინგრა. ნამდვილი რევოლუცია შემდეგ მოხდა, ოქტომბერში, და ამ რევოლუციამ ველიკოროსიაში მიიღო წმინდა სოციალური ხასიათი, ხოლო დანარჩენ ერებში სოციალური ელემენტი ეროვნულ ფერებით შეიღება; ველიკოროსიაში ბოლშევიკური გადატრიალება მოხდა. ხოლო დაპყრობილი ერები რუსეთს გამოეყვენ და დამოუკიდებელი სახელმწიფოები შეჰქმნეს. გაჰქრა რუსეთის იმპერიის მთლიანობა, დაინგრა საიმპერიო სახელმწიფო აპარატი და სკოლა მაშინვე გაეროვნულდა. იმან, რასაც «საიმპერიო ნაცია» ეწოდებოდა, რაც შეეძლო ყველაფერი ჰქმნა მდგომარეობის გადასარჩენად, რადგან ფიქრობდენ—დემოკრატიულ რუსეთთან შეთანხმება შეიძლებაო; მაგრამ ყოველივე ცდა უნაყოფო გამოდგა, რადგან არ აღმოჩნდა დასაყრდნობი ბაზა, თვით გაბატონებული ერი—ველიკოროსები არ აღმოჩნდენ თავის სიმაღლეზე... იქ გაბატონდენ ბოლშევიკები. ამათ მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების არავითარი ცვლილება ნაციონალურ-სახელმწიფოებრივ პრობლემაში არ შეუტანია; ფორმები მართველობის შეიცვალა, შინაარსი კი ძველი დარჩა. თუმცა ბოლშევიკების ლოზუნგი ერის თვითგამორკვევა იყო, ბოლშევიზმი გაბატონებული ველიკოროსიულ სტიქიას და ველიკოროსულ ძველ ტრადიციებს გაჰყვა: გამოყოფილი ერები მათ კვლავ დაიპყრეს და რადგან ეს დაპყრობა არ მომხდარა სისხლის დაუღვრელად, ამ დაღვრილმა სისხლმა კიდევ უფრო გააღრმავა ორმო, ველიკოროსებსა და შემოერთებულ ერებს შორის რომ არსებობდა. ამას არ ჰგრძნობს რუსის ემიგრაცია, მაგრამ თვითონ ბოლშევიკებმა ეს ძალიან მალე იგრძვნეს და ამიტომ, შემოიყვანეს რა ეს ერები საბჭოთა კავშირში, დაუტოვეს მათ ეროვნულ სუვერენიტეტის ზოგი გარეგნული ატრიბუტი და ზოგიერთი ეროვნული მიღწევანი. მართალია, ყოველივე ეს ბოლშევიკებმა მოიმოქმედეს ტაქტიკურ მოსაზრებით, ეს მათთვის «სულის მოთქმა» იყო, მაგრამ ეს ძალიან კარგად ისარგებლეს ერებმა და მოახდინეს თავის ყოფა-ცხოვრების სრული ნაციონალიზაცია; დერუსიფიკაცია იმდენად განვითარდა შემოერთებულ ერებში, რომ აქ გაისმა ლოზუნგი: შორს მოსკოვიდან, ყოველგვარ მოსკოვიდან—წითელია იგი თეთრი, მეფური, ბოლშევიკური თუ დემოკრატიულიო! ასე, კვლავ დადგა ხანა ინტეგრალურ ნაციონალიზმის და ამასთან ერთად ეროვნულ სუვერენიტეტისთვის ბრძოლის აუცილებლობის. ეს რომ დაინახეს ბოლშევიკებმა, ისინი ცენტრალურ აპარატის, სახელმწიფო ქანდარმერიის და რეპრესიების გაძლიერებას შეუდგენ; ტეროორი უმთავრესად შემოერთებულ ერების ტერიტორიებზე იქმნა გაძლიერებული და წინად ტეროორს თუ «სოციალურ მავნებლობით» ამართლებდენ, ახლა უკვე «ნაციონალურ მავნებლობას» აღარ მალავენ და უმთავრესად დამორჩილებულ ერების სახელმწიფო აპარატს, ე. ი. ადგილობრივ მინისტრებს და პრემიერ-მინისტრებს—თავის საკუთარ ხალხს, ურტყამენ თავში. არ ნიშნავს განა ყოველივე ეს, რომ ნაციონალური მოძრაობა იმდენად განვითარებულია, რომ იმის გავლენის გარეშე თვით მოსკოვის მიერ ხდობით აღჭურვილი ხალხი ვერ რჩება?..

დგება ჟამი საბჭოთა კავშირის დაშლის ეროვნულ სახელმწიფოებად; ველიკოროსთა და დაპყრობილ ერთა შორის დიდი ორმოა გათხრილი. კარგია ადამიანურად, რომ მათი დაცილება მოხდებოდეს უბრძოლველად, ნებაყოფლობით; მაგრამ არავითარი ამის იმედი არ არსებობს; ბრძოლით და სისხლით მოხდა ერების ჩამოცილება საიმპერატორო რუსეთიდან და ასეთსავე ატმოსფერაში მოხდება მათი განთავისუფლება საბჭოთა კავშირიდანო—ასკვნის ავტორი.

ია.

ჩემი თარგმანი

(წერილი მეოთხე)

ბ-ნი ზ. ავალიშვილი მე მისაყვედურებს: ვერ გაგიგია მრავალ-ფეროვანება და მრავალ-ხმოვანება რუსთაველის ჩანგისაო. ალბად თვითონ კარგად აქვს გაგებული ეს მრავალ-ფეროვანება. ვნახოთ. გადავშალოთ მისი ცნობილი წიგნი: «ვეფხის ტყაოსნის საკითხები».

საკითხი დიდია და ვრცელი. შევზღუდოთ იგი მხოლოდ იმ მაგალითებით, რომლებიც მოჰყავს თვითონ ბ-ნ ავალიშვილს. მან მართლა გამოიჩინა თავისებური სიმჭრიახე ხედვისა და სიმახვილე სმენისა. მან დაინახა ისეთი რამ, რაც ჯერ არავის დაუნახია, და გაიგონა რუსთველის მუზიკაში ისეთი ხმები, რაც დღემდე არავის სმენია.

აი ეს მაგალითები:

1. თავდაპირველად იგი შეეხო თინათინის სიყვარულს. საჭიროდ დაინახა აგვიხსნას ჩვენ, უმეცრებს, თუ რას ნიშნავს ის მარგალიტი, რომელიც თინათინმა აჩუქა ავთანდილს მისი მეორედ გამგზავრების წინ. მოვიყვანოთ ეს ადგილი:

ავთანდილი ჰთხოვს თინათინს: «სიცოცხლისა საიმედო ნიშანი რა წამატანე».—«ქალმა მისცა მარგალიტი, სრულ-ჰქმნა მისი საწადელი». ავთანდილი რომ თავის სახლში დაჰბრუნდა, «მან მარგალიტი მოიხსნა მის მზისა მკლავსა ნაბამი, პირზე დაიდვა, აკოცა»...

ამ სიტყვების შემდეგ განა შეიძლება ვისმე ეჭვი შეუვიდეს, რომ აქ ლაპარაკია ნამდვილ მარგალიტზე და არა სხვა რამეზე? ბ. ავალიშვილს კი აქ ელანდება სულ სხვა ფეროვანება, ესმის სულ სხვა ხმოვანება. მისი აზრით, აქ მარგალიტს თურმე ალეგორიული მნიშვნელობა ჰქონია: ვითომდა ამ შეხვედრის დროს გათავდა პერიოდი მიჯნურობისა, გათავდა «შორით ბნედა, შორით კვდომა», და თინათინი, ვულგარულად რომ ვსთქვათ, გამხდარა ხ ა ს ა ავთანდილისა!.. მერე სად არის ამის საბუთი? საბუთი, რა საკვირველია, არსად მოიპოება, გარდა ავალიშვილის ფანტაზიისა. თურმე სიტყვა «საწადელში» ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ «პირველი დაპირება თინათინისაო». ჯერ ერთი, რატომ უნდა ვიგულისხმოთ?! მერე, სად და როდის დაჰპირდა თინათინი ავთანდილს, რომ ის გახდებოდა მისი ხასა?! შეიძლება ასე უდიერად მოექცეს კაცი რუსთაველის ტექსტს?—მეორე მოსაზრება ბ. ავალიშვილისა უფრო მოულოდნელია და გასაკვირი: ნიზამის «ბარამ-გურიანში» მარგალიტი იხსენიება იმავე ალეგორიული მნიშვნელობითო, ამბობს იგი. მერე რა? რა შუაშია აქ რუსთაველი?!

რად დასჭირდა ბ. ავალიშვილს აგრე უსაფუძვლოდ შებღალვა და გათახსირება თინათინის მიჯნურობისა—გაუგებარია.

2. მეფე როსტევანის სახე ისე ამშვენებს ქართულ ლიტერატურას, როგორც ინგლისურს შექსპირის მეფე ლირი: «მაღალი, უხვი, მდაბალი, მოსამართლე და მოწყალე»... ავთანდილი იმას უყურებს, როგორც ღვთაებას: «გამოპარვით წამოსვლითა ღვთისა სწორნი მოვიმდურვენ», ამბობს იგი. მათი სიყვარული წმინდად მამა-შვილურია: «ავთანდილ უჩნს ვითა შვილი», პირდაპირ ნათქვამია რუსთველის ტექსტში.

მაგრამ ბ. ავალიშვილს ტექსტის დარდი სრულებით არა აქვს. იმას თავისი აზრი აქვს, აზრი, რომელიც არაფერს არ ემყარება, გარდა მისივე ფანტაზიისა. მისი აზრით, ავთანდილი თურმე ყოფილა როსტევანის «ნდომის საგანი განურჩევლად სქესისა...» ასეთი ყოფილა ტრადიცია (?!). აი რასა სწერს იგი (გვ. 154): «ამ ტრადიციის ერთი გამოძახილი მოიპოება როსტევანის და ავთანდილის ურთიერთობის ერთს დახასიათებაშიო». ამ დახასიათებას ჰხედავს იგი ერთ ლექსში, სადაც რუსთველი ამბობს როსტევანზე: «აქვს მიჯნურობა იმისი, ვითა ბულბულსა ვარდისა».

პოეტები ხშირად ხმარობენ ვარდ-ბულბულის შედარებას სწორედ იმისთვის, რომ სიყვარულს მისცენ სახეობა უფრო განყენებული, უფრო სუფთა და ამაღლებული, განწმენდილი ყოველ სექსუალურ ზრახვებისაგან. ვარდი და ბულბული, როგორც სახეობა, მხოლოდ წყაროა ესთეტიური ემოციისა. თუ ბ ნ ავალიშვილს უნდა ეს სახეობა გამოიყენოს, როგორც არგუმენტი თავის აზრის დასამტკიცებლად, მან ჯერ უნდა დაამტკიცოს, რომ ბულბულისათვის ვარდი არის «ნდომის საგანი განურჩევლად სქესისა».

იმედი უნდა ვიქონიოთ, პატივცემული პროფესორი ამასაც როდისმე დაამტკიცებს ე. ი. დაამტკიცებს იმას, რომ ბულბულს ვარდი უყვარს სექსუალურად. მანამდე კი ის ტალახი, რომელსაც აგრე უდიერად უშენს იგი როსტევანს, მხოლოდ მასვე სვრის და ჰთხუპნავს და არა როსტევანის დიდებულ სახეს.

3. დიდი ხანია, განსაკუთრებით ნ. მარის გამოკვლევის შემდეგ, ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრდა ის აზრი, რომ ვითომდა რუსთაველი კაცის მეგობრობას უფრო მაღლა აყენებს ქალის სიყვარულზე. აქ ბ. ავალიშვილს ახალი არაფერი უთქვამს, მხოლოდ ნ. მარის შემცდარ და ცალმხრივ აზრს დაუმატა ისეთი რამ, რომ სულ თავდაყირა დააყენა რუსთველის დიდებული კონცეპცია. რუსთველს თავში არასოდეს არ მოსვლია დაუპირდაპიროს ქალის სიყვარული კაცის მეგობრობას და უპირატესობა მისცეს ან ერთს ან მეორეს. ასეთი პრობლემა რომ მდგარიყო იმის წინ, უეჭველია, მის თხზულებაში ან ერთი გრძნობა გაიმარჯვებდა ან მეორე. არაფერი ამის მზგავსი არ მოიპოება. რუსთველის თხზულებაში მთლიანად გამარჯვებულია ორივე გრძნობა: სიყვარულიც და მეგობრობაც. სწორედ ამაში იხატება რუსთაველისებური ჰარმონია მსოფლიოსი.

«მიჯნურობა და მეგობრობა ავთანდილის გულში ერთმანეთს ებრძვიანო». სრულებით შემცდარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზრია. მთელს «ვეფხის ტყაოსანში» თქვენ ვერ იპოვით ვერც ერთ ადგილს ამისთანა ბრძოლისას. პირიქით, ორივე სიყვარული, მიჯნურობა და მეგობრობა, იშლება და მიმდინარეობს სრულებით თავისუფლად, არავითარი შეხლა-შემოხლა, არავითარი წინააღმდეგობა იმათ შორის არსად არ სჩანს. აი გადააავლეთ თვალი: თინათინი ჰგზავნის თავის საყვარელ ავთანდილს ტარიელის საძებრად სრულებით თავისუფლად; ავთანდილიც მიდის და ეძებს ტარიელს სრულებით თავისუფლად; როცა იპოვის და მერე უნდა დატოვოს ტარიელი, ავთანდილი მას ეუბნება თინათინზე: «იგი ვნახო, სიყვარული მისი ჩემთვის დავამტკიცო». ტარიელიც ურჩევს: აწ წადი, შენი მზე ჰნახეო. როცა ავთანდილი მეორედ წასვლას აპირებს ტარიელთან, თინათინი არამც თუ ხელს არ უშლის, პირიქით იწონებს მის გადაწყვეტილებას: «შენ არ გატეხა კარგი გჯირს ზენაარსისა ფიციისაო». მიჰყევით სიუჟეტის განვითარებას ბოლომდე, ნესტან-ტარიელის და თინათინ-ავთანდილის ქორწინებამდე,—თქვენ ვერსად შენიშნავთ მცირეოდენ კოლლიზიასაც კი სიყვარულის და მეგობრობის შორის. პირიქით, თინათინის სიყვარული აძლევს მხნეობას ავთანდილს, რომ მოძებნოს ტარიელი; ტარიელის მეგობრობა—რომ მოძებნოს დაკარგული ნესტანი. სიყვარული ასაზრდოებს მეგობრობას, მეგობრობა იბრძვის სიყვარულისათვის.

სუყველაფერი ეს გამოეპარა ბ. ავალიშვილს ე. ი. გამოეპარა მთელი თხზულება რუსთაველისა. მიზეზი ამ დაბრმავებისა გახლავს მის მიერ წინასწარ აღებული ფანტასტიური აზრი, რომ ავთანდილ-ტარიელის მეგობრობა ვითომდა იყო ანტი-ბუნებრივი მიჯნურობა და არა ბუნებრივი ძმობა და მეგობრობა. არაფერი ამის მზგავსი რუსთაველში რა თქმა უნდა არ მოიპოვება. პირიქით, რუსთაველი პირდაპირ, ნათლად და მკაფიოდ, აღნიშნავს, თუ რა ხასიათის იყო ეს მეგობრობა. ავთანდილ ამბობს ტარიელზე: «შემიტკბო და შემიყვარა, ვითა ძმა და ვითა შვილი». ამით რუსთველმა ავთანდილ-ტარიელის ურთიერთობას შემოარტყა ნათლის რკალი, რომლის შიგან შეუძლებელია შეტანა რაიმე ეჭვის, რაიმე ჭუჭყის და სიბინძურის. მათი განწყობილება არის წმინდად ძმური ან წმინდად მამა-შვილური.

ბ-ნი ავალიშვილი მაინც თავისას არ იშლის. აქაც უნდა შეიტანოს ჭუჭყი და სიბინძურე. მისთვის ყველაფერი საეჭვოა. საეჭვოა, თუ ორი ამხანაგი ერთად არიან; საეჭვოა, თუ ერთად სმენ და სჭამენ; თუ ერთად ნადირობენ, თუ ერთად ცეცხლი გაიზიარეს... ეს არის პირველი არგუმენტი ბ. ავალიშვილისა.

მეორე არგუმენტი არის სიტყვა «გავშმაგდი». ავთანდილი მართლა ამბობს, როცა ტარიელი გავიცანი, «შემებრალნეს და გავშმაგდიო». აქ გაშმაგების მიზეზად დასახელებულია თვით ავთანდილის მიერ შებრალება, გრძნობა უაღრესად ადამიანური, წმინდა, მაღალი და ფაქიზი. ბ. ავალიშვილმა ეს შებრალება უკუაგდო და მის მაგიერ ჩასვა სიტყვა «მიჯნურობა»: «მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითაო». მერე რა? დეე არაბულად მიჯნური შმაგსა ჰქვიოდეს, განა ამიტომ ავთანდილი მოკლებული უნდა იყოს ადამიანურ გრძნობას?! განა იმიტომ, რომ არაბულად მიჯნური შმაგსა ჰქვიან, ავთანდილს არ შეეძლო ეგრძნო სიბრალული ტარიელისა?!. ბ ნი პროფესორი დიდი ლოღიკის კაცია.

არა ნაკლებ საინტერესოა მესამე არგუმენტი. ავთანდილი სტირის, «პირსა იხოკს. ვარდსა აპობს, მხეცნი ყოვლნი გაამლოკლა»,—და ეს მაშინ, როცა ავთანდილმა დასტოვა ტარიელი და ბრუნდება არაბეთში თინათინის სანახავად. ეს ტირილი, ბ. ავალიშვილის გაგებით, იმის ნიშანია, რომ ავთანდილს ტარიელი უფრო უყვარს, ვიდრე თინათინიო... საცოდავი გაგებაა, საცოდავი მოსაზრებაა!

ავთანდილი სტირის არა მხოლოდ მაშინ, როცა იგი სტოვებს ტარიელს, იგი სტირის მაშინაც, როცა შორდება თინათინს. მაშ უნდა დავასკვნათ, რომ თინათინი უფრო უყვარს, ვიდრე ტარიელი? აშკარაა. ორივე დასკვნა ზერელეა და ყალბი. აქ ტირილი ავთანდილისა სრულებით იმის მაჩვენებელი არ არის, თუ ვინ უფრო უყვარს იმას, თინათინი თუ ტარიელი; რას უფრო მაღლა აყენებს, მიჯნურობას თუ მეგობრობას. მიზეზი ავთანდილის ცრემლის ღვრისა სულ სხვაა. ის უფრო ღრმაა, უფრო ვრცელი, უფრო დიადი და საკაცობრიო.

მე ამაზე მქონდა შემთხვევა მოკლედ მელაპარაკა (იხ. ჩემი წინასიტყვაობა ფრანგულ გამოცემაში; აგრეთვე «დამოუკ. საქ.» № 143). მოვაგონებ მკითხველს ზოგად ხაზებს ამ შეხედულებისას.

რუსთველის სიდიადე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან პირველად ღრმად ჩაიხედა ადამიანის სულში და აღმოაჩინა იქ მუდმივი ბრძოლა არა ნივთიერი, არამედ სულიერი, რომელიც არა ნაკლებ საშინელია, ვიდრე შეხლა-შემოხლა მატერიალურ ძალებისა. ეს გახლავს განუწყვეტელი კონფლიქტი, ერთ და იმავე ადამიანის არსებაში, გონების და გულის შუა, აზრის და მოქმედების შორის.

ავთანდილის გული ეკუთვნის თინათინს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ავთანდილმა გაიცნო ტარიელი, მისი გონების წინ გადაიშალა საუცხოვო პერსპექტივები საკაცობრიო შემოქმედების და დიადი სახელის მოხვეჭისა. მართლა რა დიდი საქმე იქნება, თუ მან აღადგინა ინდოეთის იმპერია და მის ტახტზე აიყვანა თავის ძმა და მეგობარი ტარიელი. შედეგი ამ დიდი საქმისა ხომ იქნება დაახლოება ინდოეთის და არაბეთისა, მშვიდობიანობის დამყარება მაშინდელ მსოფლიოში და შინაურ ცხოვრების მოწყობა ისე, რომ «თხა და მგელი ერთად სძოვდეს». აი რა დიადი ზრახვებით იმსჭვალება ავთანდილის გონება. ამ ზრახვების აღსასრულებლად ის იძულებულია მოშორდეს თინათინს, მაგრამ თინათინის სახე კი არ შორდება იმას. ის მუდამ თანა სდევს, განუწყვეტლად, მოუშორებლად, დღისით და ღამით. სწორედ აქა დევს ავთანდილის ტრაგედია: გონება მას უხატავს მოქმედების დიად გეგმას, გული კი სხვაგან მიიწევს, არაბეთისკენ, სადაც იმყოფება მისი სატრფო. გონება გულს ებრძვის, გული—გონებას, იხეთქება ორად მისი ბუნება, მისი სულიერი მთლიანობა.

ბოლოს გონება იმარჯვებს, მაგრამ რა ძვირად უზის ავთანდილს ეს გამარჯვება! მოშორებული თინათინს, იგი სტირის, სტირის და უკან იხედება არაბეთის ცის კიდურისკენ; სტირის მაშინაც, როცა ეხვევა ფატმან-ხათუნს, რადგანც მუდამ ელანდება თინათინის სახე; სტირის მაშინაც, როცა უდაბნოში ვარსკვლავებს ეხვეწება: უთხარით მასო (თინათინს), «მისი ვარ და მისთვის ვკვდებიო». «იმღერს ლექთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლი სდიან».

აი რატომ სტირის ავთანდილი!—და არა იმიტომ, რომ ვერ აურჩევია, რომელი სჯობია: «ქალი თუ ბიჭი».. ასეთი ბრიყვული პრობლემა ავთანდილს თავში არასოდეს არ მოსვლია.

სამწუხაროდ მე არ შემიძლია შევეხო აქ ტარიელის დახასიათებას, თორემ ჩემი აზრი უფრო ნათელი იქნებოდა. ვიმეორებ, რუსთაველის სიდიადე და უკვდავება სწორედ იმაშია, რომ მან პირველად გაშალა და დაგვანახვა ეს საკაცობრიო ტრაგედია, ეს შინაგანი კონფლიქტი გულისა და გონების შორის, მით აღნიშნა ახალი გზები გონებრივი განვითარებისა, გადააბიჯა საუკუნოებს და გვერდით ამოუდგა შექსპირსა და გეთეს.

რუსთაველი მიაქროლებს თავის პეგასს ძალიან მაღლა; მისი დეზი ნაპერწკლებსა ჰყრის და ამ ნაპერწკლების მორევში ანათებს და ჰნათლავს ქვეყნიერებას... ავალიშვილი კი იყურება წინასწარ აღებულ აზრის ვიწრო ჭუჭრუტანიდან და, რასაკვირველია, ვერაფერს ხედავს... ან ხედავს მხოლოდ ჭუჭყსა და სიბინძურეს.

4. არის საიდუმლო მოვლენა ბუნებაში: მიმზიდველობა ორი სქესის ან ორი პრინციპისა, მამობრივის და დედობრივისა. ლომ-ვეფხის შეხვედრა არის განსახიერება ამ მოვლენისა. ლომი წარმოადგენს მამობრივ პრინციპს, ვეფხი—დედობრივს. მოკლეა ეს სცენა, მაგრამ მეტად მდიდარი შინაარსით. ქალს ახასიათებს შიში, მორცხვობა, და ინსტინქტიური თავის დაცვა, დაცვა თავის სიწმინდის და სიფაქიზისა. კაცი ვერ ითმენს, გიჟდება, შეტევაზე გადადის და ეს შეტევა ხშირად თავდება სისხლის ღვრით. ტარიელი შემთხვევით გახდა მოწმე ამ სცენისა, თვალწინ წარმოუდგა მთელი თავის წარსული, გადაიჭრა ცხენიდან, ლომი მოკლა და ვეფხი შეიბყრო ხელითა «მის გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითაო».

ბ-ნ ავალიშვილმა ესეც ვერ გაიგო: ამ სცენის შინაარსი «პსიქოპათალოგიის დარგს ეკუთვნისო». «მადლობა ღმერთს, დასძენს იგი, ტარიელის ეს სენი დროებითიაო». აქედან ცხადია, თუ რა მნიშვნელობას აძლევს იგი ტერმინ «პსიქო პატალოგიას». მისი აზრით, აქ წაიშალა ყოველი ზღვარი ადამიანთა და პირუტყვთა შორის, ადამიანი პირუტყვი ხდება და შეიძლება შეუერთდეს პირუტყვს, როგორც პირუტყვი. საკვირველია ჩვენი პროფესორის გაბედულება: ჯერ უსაფუძვლო ეჭვებით შელახა თინათინის სიყვარული, მერე მოხუცი როსტევანი გადააბა ავთანდილს, მერე ავთანდილი ტარიელს, ეხლა ტარიელი უნდა გადააბას პირუტყვს... სულ ეს სექსუალურ ნიადაგზე!

ჩვენ ამ მოცლილი კალმის ვარჯიშობას ყურადღებას არ მივაქცევდით, სხვა დრო რომ არ იყოს და სხვა გარემოება. მაგრამ დრო და გარემოება მეტად მნიშვნელოვანია: კაცობრიობა შევიდა მის ევოლუციის იმ პერიოდში, როცა ხდება გადაშინჯვა საერთაშორისო განწყობილებისა და იცვლება რუკა მთელი დედამიწისა. ჩვენთვის სასიცოცხლო ინტერესია დავანახოთ განათლებულ ქვეყნებს ნამდვილი სახე ქართველი ერის, მისი სულისკვეთება და სიმაღლე მისი ინტელექტუალური შემოქმედებისა. ეს სახე და სულისკვეთება ისე ნათლად არსად იხატება, როგორც რუსთველის თხზულებაში. ამიტომ ჩვენ შევეცადეთ, ჩვენი პატარა ძალღონით, გადაგვეთარგმნა იგი და გაგვევრცელებინა ევროპაში. ვინც მას წაიკითხავს, თუნდაც იმ მკრთალ გადმოცემაში, როგორიც არის ჩემი თარგმანი, დაინახავს, რომ ქართველი ერი არ არის ველური ხალხი; ის ღირსია განათლებულ ქვეყნების ყურადღების და დახმარებისა, რომ მოიპოვოს პირობანი თავისუფალ განვითარებისა და თავისუფლად შევიდეს საერთაშორისო ოჯახში.

აი ამისთანა დროს გამოდის ბ-ნი ავალიშვილი და რას სჩადის? სრულებით უსაფუძლოდ სვრის და ჰთხუნავს რუსთაველის მიერ მოცემულ სარკეს. იქ ქართველი ერის სახე და სულისკვეთება არამც თუ გამრუდებულია, სრულებით წაშლილია, შებღალული და საზიზღარი.

ეს არის მამულის სამსახური?

ამას არასოდეს არ აპატიებს მას არც ერთი ქართველი, ვისაც კი შერჩენია ცოტაოდენი შეგნება ეროვნულ ღირსების და პატიოსნებისა.

გიორგი გვახარია.

კავკასიის კონფედერაციის საბჭოს დადგენილება

(Jour. de Gen. 19 ნოემბრის ნუმერი)

კავასიის კონფედერაციის საბჭომ, განიხილა რა უკანასკნელი ამბების განვითარება ევროპაში და მათი შესაძლებელი გავლენა იმ საკითხებზე, რომლებიც უშუალოდ აინტერესებს კავკასიის ერებს,—მიიღო შემდეგი დადგენილება:

საბჭო გულწრფელად იზიარებს იმ სიხარულს, რომლითაც ქვეყნიერება მიესალმა ევროპის მძიმე კრიზისის მშვიდობიან გადაჭრას სექტემბერში; იგი აღტაცებულია, რომ მთავრობათა მეთაურებმა გამონახეს ბედნიერი გამოსავალი იმ მდგომარეობიდან, რომელიც უიმედო სჩანდა. საბჭო ხედავს მიუნხენის შეთანხმებაში მხსნელ მაგალითს: უდიდეს განსაცდელის დროს ერები მას მოიგონებენ და მთავრობები მით ისულდგმულებენ. საბჭოს აზრით, მიუნხენი წარმოადგენს შეტრიალებას და სიმბოლოს: ევროპიელ ერების მორიგების დასაწყისს და ცივილიზაციის გამარჯვებას დარღვევის ბნელ ძალებზე, და ყოვლის უწინარეს კი მშვიდობიანობის გამარჯვება ნიშნავს საბჭოთა რუსეთის დამარცხებას, მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარიცხვას ევრობის დიდ სახელმწიფოების ოჯახიდან და მის ზნეობრივ და დიპლომატიურ განმარტოებას. საბჭო ჰფიქრობს, რომ ევროპის დამანაწილებელ საკითხების შემცირება განამტკიცებს ანტიბოლშევიკურ ძალებს, გასწმენდს კომუნისტურ ინტერნაციონალის საწინააღმდეგო ბრძოლის პერსპექტივებს ჩანართავ ელემენტებისაგან და მოაახლოვებს აღმოსავლეთ ევროპის საკითხების გადაჭრას და პირველ რიგში მოსკოვის მიერ დაჩაგრულ ერების განთავისუფლების ჟამს.

საბჭო აღნიშნავს დიდი კმაყოფილებით, რომ მიუნხენის შეთანხმება დაეყრდნო ერთა თვითგამორკვევის პრინციპს, რომელსაც სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ს. ს. რ. კავშირის დამონებულ ერების განმათავისუფლებელ ბრძოლაში, და რის გამოც ეს ერები დარწმუნებულნი არიან, რომ მთელი განათლებული კაცობრიობა მათი თანამგრძნობი და მომხრე იქნება.

წერილი ამერიკიდან

დღეს პოლიტიკური ცხოვრება ისე სწრაფად მიდის და იცვლება, რომ 1940 წლის არჩევნებზე მსჯელობა ბევრს უადგილოდ მოეჩვენება. ეს შეიძლება მართალი იყოს უცხოელისთვის, მაგრამ არა ამერიკელებისთვის. ამ შორეულ მომავალისთვის შეერთებული შტატები ემზადება დიდი ენერგიით, დღესვე. 1940 წლის ნოემბერში პრეზიდენტის არჩევანია. მაშინვე აირჩევენ აგრედვე ბევრ შტატის გუბერნატორებს, ქალაქის და მაზრის მოხელეებს, კონგრესის წევრებს, მაგრამ არა ყველას. ბევრს მათგანს ახლა უთავდება ვადა. სენატის წევრებს ირჩევენ 6 წლის ვადით, ქვედა პალატის (სახლი წარმომადგენლების) წევრებს 2 წლით, გუბერნატორებს 4 წლით და სხვა.

ახლა ხდება არჩევნები ბევრი შტატის გუბერნატორების, მაზრის და სამოქალაქო მოხელეების, და კონგრესის წევრების როგორც ფედერაციული კონგრესისთვის (ვაშინგტონში), ისევ ყოველ შტატისთვის. ვისაც ახლა აირჩევენ სენატორად ან გუბერნატორად, ის მომავალი პრეზიდენტის თანამშრომელი იქნება.

ახლანდელ არჩევნების დროს განსაკუთრებული ამბავი მოხდა: პრეზიდენტი რუზველტი «ჩაერია» არჩევნებში და თავის სიტყვებში აშკარად გამოვიდა ამა თუ იმ კანდიდატის სასარგებლოდ. ამ მოვლენამ აქ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია როგორც პრესაში, ისე ამრჩევლებში.

პრეზიდენტი ცდილობს, კონგრესში ჰყავდეს «ნიუ დილისტები» (ახალი რეკონსტრუქციის მომხრენი), რომელნიც მის კანონმდებლობას მხარს დაუჭერენ.

გასული სხდომის კონგრესმა მხარი არ დაუჭირა პრეზიდენტის ზოგიერთ კანონმდებლობას. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია სასამართლოთა რეორგანიზაციის კანონმდებლობამ (უმაღლესი სამსაჯულოს წევრების თუთხმეტამდე გადიდება), რომელიც პრეზიდენტმა შეიტანა კონგრესში და რომელსაც თავგამოდებით იცავდა.

მაგრამ აქ მისივე პარტიის ბევრი დემოკრატი აუჯანყდა და ზომა უკუგდებულ იქმნა, რაც პრეზიდენტს საწყენად დაურჩა.

ახლა, როცა არჩევნები დაიწყო, პრეზიდენტი აშკარად გამოვიდა იმ პირების წინააღმდეგ, ვინც მას მხარი არ დაუჭირა. პრეზიდენტის საარჩევნო კომპანიაში ჩარევამ ყველა შტატი აალაპარაკა და ფეხზე დააყენა. გახშირდა ტოტალიტარულ ქვეყნების დიქტატორებთან შედარებები, განსაკუთრებით ხმარებაში შემოვიდა სიტყვა «განწმენდა».

«როგორც სტალინი სწმენდს თავის სამეფოს არა სასურველებისგან, ისე პრეზიდენტი რუზველტი ცდილობს განწმინდოს კონგრესი არა სასურველი წევრებისაგან»-ო.

ამ მოვლენამ ისეთი ინტენსური კომპანია გამოიწვია, რომ ამერიკელ მოქალაქეს დაუყენეს კითხვა: «არის თუ არა შეერთებულ შტატებში თავისუფალი არჩევნები?» ან «აქვს თუ არა პრეზიდენტს უფლება ჩაერიოს საარჩევნო ბრძოლაში?»..

აზრი თანაბრად გაყოფილია. ერთი ნაწილი ამბობს, რომ, რასაკვირველია, პრეზიდენტს, როგორც თავის პარტიის წარმომადგენელს, სრული უფლება აქვს, ჩაერიოს არჩევნებში და დაიცვას თავის შეხედულება...

მეორე ნაწილი ამბობს: პრეზიდენტი არის წარმომადგენელი მთელი ერის, ყველა პარტიების და უპარტიოთა და უფლება არა აქვს ცალმხრივობა გამოიჩინოსო...

ასე თუ ისე, ამან ისე გაამწვავა და გააღიზიანა მოქალაქენი, რომ «პრეზიდენტის ნიუდილისტები» თითქმის ყველა შტატში დამარცხდენ.

მართალია ოფიციალური უკანასკნელი გადამწყვეტი არჩევნები ჯერ არ მომხდარა. ეს იქნება მხოლოდ 8 ნოემბერს, მაგრამ უმეტეს შტატებში მომავალ არჩევნების შედეგი დღეს უკვე ცნობილია, განსაკუთრებით სამხრეთ შტატებში, სადაც საერთოდ დემოკრატები გადიან. იქ წინამორბედი საკანდიდატო პარტიული არჩევნები თითქმის ნიშნავს კანდიდატის გასვლას. და იქ პრეზიდენტის ფალავნები უკვე დამარცხდენ.

ჩრდილო შტატებში «ნიუდილისტ» დემოკრატებს ოპოზიციაში უდგანან რესპუბლიკანელების კანდიდატები...

დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ პარტიათა დანაწილების მაგივრად ორი ბანაკი არსებობს: «ნიუდილისტები» და ანტი ნიუდილისტები»; პრეზიდენტის ახალი რეკონსტრუქციის «ურეზერვოდ» მომხრენნი და მისი მოწინააღმდეგენი.

თითქმის ყველა მემარცხენე და განსაკუთრებით კომუნისტები რუზველტს უჭერენ მხარს, მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატები ოფიციალურად უარჰყოფენ კომუნისტების დახმარებას.

ამ არჩევნებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ორი პიროვნება: ეხლა გუბერნატორად მყოფი და ისევ დემოკრატების საგუბერნატორო (ნიუორკის შტატის) კანდიდატი ჰერბერტი ლიმანი

და მეორე, მისი მოწინააამდეგე რესპუბლიკანელების საგუბერნატორო კანდიდატი თომასი დიუი. პირველი ძველი პოლიტიკოსია, პრეზიდენტ რუზველტის ყოფილი თანაშემწე, როცა უკანასკნელი ნიუორკის შტატის გუბერნატორად იყო. თომასი დიუი კი ახალგაზდაა (35 წლისა) და პოლიტიკურ სარბიელზე ახლად გამოსული. მან თავი ისახელა ნიუორკში ამ უკანასკნელ 2-3 წლის განმავლობაში როგორც უშიშარმა მოუსყიდველმა ბრალმდებელმა «წარჩინებულ» მექრთამეების აღმოჩენაში.

არა მგონია, რომელიმე ქვეყანაში, განსაკუთრებით მმართველ პარტიების წრეებში, იყოს ამდენი მექრთამეობა და ნაძირალებთან დაახლოვება, რომლებთან რამდენიმე მილიონიანი «საქმეები» კეთდება, როგორც არის აქა.

თომასი დიუი აკრძალული სათამაშოების ბუდეების გაწმენდას შეუდგა, რომელნიც თურმე ორას მილიონ დოლარს ატრიალებდენ წლიურად და რომელთაც დემოკრატების ცნობილი კლუბი «ტამანნი პოლი» ს ძლიერი წევრების დახმარება-მფარველობა ჰქონიათ.

ამბობენ, თუ დიუიმ ნიუორკის შტატის გუბერნატორობა მოიგო, ის 1940 წელში რესპუბლიკანელების საპრეზიდენტო კანდიდატი იქნებაო.

მაგრამ მისი მოწინააამდეგე გუბერნატორი ლიმანი დემოკრატების გამოცდილი პოლიტიკოსია. მას მეტი შანსები აქვს მოგებისა, რადგან დემოკრატების პოლიტიკური მანქანა და პრეზიდენტ რუზველტის გავლენა ნიუორკის შტატში ძლიერია. მით უმეტეს, ის ცნობილია როგორც პატიოსანი, კარგი გუბერნატორი, თუმცა, როგორც დიუი ამბობს, თავის პარტიის კლუბების გაწმენდაში უძლურიაო.

რასაკვირველია, თუ ლიმანმა ისევ გუბერნატორობა მოიგო, მას საპრეზიდენტო მომავალი არ აქვს, რადგან ებრაელია. მოგეხსენებათ, ებრაელები ამერიკაში შეზღუდულნი არ არიან; მათ ბევრი მთავრობის და სამოქალაქო დაწესებულებაში მაღალ ხარისხოვანი ალაგები უკავიათ. კონგრესის წევრებიც არიან (თუმცა არის კერძო დაწესებულებანი, სადაც მათ არ ღებულობენ), მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ებრაელი საპრეზიდენტო კანდიდატად წამოეყენებიოთ; როგორც არ ყოფილა შემთხვევა, რომ კათოლიკე პრეზიდენტად ყოფილიყო. 1928 წელში ალფრედ სმითი ნიუორკის შტატის ყოფილი გუბერნატორი იყო კანდიდატად ყოფილ პრეზიდენტ ჰუვერის წინააღმდეგ და დამარცხდა. ამბობდენ კათოლიკე რომ იყო, ამან შეუშალა ხელიო.

ლიმანმა და მისი პარტიის სხვა კანდიდატებმა უარი განაცხადეს საარჩევნო სიტყვებში კომუნისტების ხმებსა და დახმარებაზე, მაგრამ კომუნისტებმა დემოკრატების სასარგებლოდ თავის კანდიდატები მოხსნეს და უპირებენ მათ ძალად ცხონებას.

როცა ეს წერილი დაისტამბება, მკითხველს უკვე ეცოდინება 8 ნოემბრის არჩევნების შედეგი. უეჭველია, პრეზიდენტს კონგრესში (განსაკუთრებით სენატში), მეტი ოპოზიცია ეყოლება თუმცა უმრავლესობა მაინც მის მხარეზე იქნება.

1940 წ. საპრეზიდენტო კანდიდატებზე ჯერჯერობით მხოლოდ აზრთა სპეკულიაციაა. რესპუბლიკანელების მხრიდან მხოლოდ თომასი დიუის შესახებაა ლაპარაკი, თუ მან ნიუორკის შტატის გუბერნატორობა მოიგო. დემოკრატების პარტიაში არავინ არის სერიოზულად ნახსენები, გარდა თვით პრეზიდენტ რუზველტისა.

ის იყო პირველად არჩეული 1932 წ., მეორედ 1936 წელში. ჯერჯერობით ცნობები არ არის, ის დათანხმდება თუ არა, ან რომ დათანმხდეს, პარტია წამოაყენებს თუ არა თავის კანდიდატად. ამერიკის ისტორიაში შემთხვევა არ ყოფილა, რომ ვინმე მესამეჯერ საპრეზიდენტო კანდიდატობაზე დათანხმებულიყო. კანონი ამის წინააამდეგ არ არის, მხოლოდ ტრადიციაა. ეს იმ მოსაზრებით, რომ რომელიმე პრეზიდენტმა დიდი გავლენა არ მოიპოვოს ან დიქტატორი არ გახდესო და დემოკრატიული წესწყობილება არ შელახოსო.

პირველად თვით პირველ პრეზიდენტმა ჯორჯ ვაშინგტონმა განაცხადა უარი მესამე ოთხი წლისთვის. სხვებმა მას მიბაძეს. უკანასკნელი უარის მთქმელი იყო კალვინ კულიჯი.

—

15 ოქტომბრის თარიღით მოსკოვში მყოფი ნიუორკის ტაიმსის კორესპონდენტი ჰაროლდი დენნი იტყობინება:

«საბჭოების მცხოვრებნი დიდი შიშით მოელიან მომავალ ზამთარს, რომელსაც ახლავე ეტყობა, რომ იქნება უფრო ძნელი, ვიდრე უკანასკნელი წლებისო. უკვე ახლაც ნაკლებობაა ბევრი უსაჭიროესი სურსათის და ძნელია გათვალისწინება, როგორ შეიძლება მდგომარეობა გაუმჯობესდეს ზამთრისთვის. «რიგები», რომელიც ზედმიწევნით ცნობილია როგორც რუსეთის ცხოვრების დამახასიათებელი თვისება, გასულ წლებში უკვე გახშირდა» ო. ჰარ. დენნი აგვიწერს მოსკოვის სურათს: «როცა ამ დილას გამოვედი ჩემი ბინიდან, ვნახე «რიგი» ერთი კვარტალის სიგძე, რომელიც მიბჯენილი იყო მთავრობის ბოსტნეულობის და მწვანეულობის მაღაზიას, სადაც მხოლოდ ვაშლები იყიდებოდაო. რამდენიმე კვარტალის მერე ისევ გრძელი «რიგი» იდგა, რომელიც მოთმენით იცდიდა ფართლეულობის მაღაზიასთან... ასეთ «რიგებს» ხედავთ ქალაქის ყოველ ნაწილში და ყოველ დროს: დღე, ღამე, გათენებისას... ხალხი იცდის მაღაზიასთან იმ იმედით, რომ რამეს იყიდის...

«საშვალო მოსკოველისთვის სანოვაგის ან ტანისამოსის ყიდვა არის განსაცდელი. ქალი, ვინც იდგა მთელი დღე ადრე დილიდან საღამომდის «რიგში», მოდის სახლში და მოაქვს კაბა არც ისე კარგი, რომელშიაც მისცა 150 მანეთი... დიასახლისი მოდის სახლში გახარებული, თუ იშოვა რამდენიმე საათის ბაზარში ხეტიალის შემდეგ კომბოსტო ან ქარტოფილი. ეს ორი უსაჭიროესი საგანი მოთხოვნილებაზე ნაკლებია...

საერთოდ მოსკოვში არასოდეს არ არის საყოფი მწვანეულობა, მაგრამ ამ წელს მდგომარეობა გაცილებით უარესია. მთავრობის მაღაზიებში თითქმის არაფერი იშოვება და რაც არის, ისიც ძალიან ცუდი ხარისხისაა... ქალები დაეძებენ საჭმელს კოლექტი-

ვების ფერმების გლეხების ბაზრებში, სადაც ინდივიდუალურ წევრს მოაქვს, რაც დაურჩა მას რეკვიზიციის შემდეგ და რისი გამეტება შესძლოვო. გლეხების ბაზარში ფასები 10 პროცენტიდან 100 პროცენტამდე უფრო დიდია, ვიდრე მთავრობის მაღაზიაში»-ო.

ამერიკის პრესაში ცნობებია, რომ მარშალი ბლიუხერი საშიშო ხდებოდა სტალინისათვისო. ერთი მიზეზთაგანი იმისა, თუ სტალინს რატომ არ უნდოდა ომი იაპონიასთან, ის იყო, რომ რუსეთს ომი რომ მოეგო, ბლიუხერი გაილაშქრებდა სტალინის წინააღმდეგო...

აქ ამბობენ რომ საბჭოების ელჩი ალექსანდრე ტროიანოვსკი არ დაბრუნდება მოსკოვიდან. მან შეიძლება ლიტვინოვის ადგილი მიიღოსო.

უკანასკნელი ძალიან დაღონებული და გულგატეხილია მას შემდეგ რაც მისი წლების ნამუშევარი პოლიტიკური კომბინაციები დასავლეთ ევროპაში დაიმსხვრაო.

ნაური.

სასიხარულო შეხვედრა

აგვისტოს ბოლო რიცხვებში სოშოში პირველად გვესტუმრა ბ-ნ ხ. შავიშვილი. მას, სახელით და გვარით, ისე როგორც ყველა სხვა ქართველი, სოშოშიც ყველანი იცნობდენ, მაგრამ პირისპირ მასთან საუბრის და შეხვედრის შემთხვევა დღემდე ბევრს აქაურ თანამემამულეს არ ჰქონია.

ყველანი სიამოვნებით და ღრმა პატივისცემით შეხვდენ მის ჩამოსვლას და დიდი ყურადღებითაც მოისმინეს მის მიერ, ტკბილი, თბილი და ნამდვილი, უბრალო ქართული ენით, გამართული საუბარი ბევრ სადღეისო და საინტერესო კითხვების გარშემო.

შემდეგ, ბ-მა შავიშვილმა წინადადება მოგვცა, ჩვენის სახელით დაეპატიჟებია საქართველოს საქმის უდიდესი დამცველები და უანგარო მეგობრები, პროფ. ა. მალში თავმჯდომარე საქართველოს საერთაშორისო დამხმარე კომიტეტისა და ჟან მარტენი საპატიო თავმჯდომარე იმავე კომიტეტისა. მთელი ქართველი საზოგადოება აღტაცებით მიეგება ბ. შავიშვილის წინადადებას. აქა იქ მხოლოდ გაისმოდა შიში: «ვაი თუ შესაფერისად ვერ შევხვდეთო».

ამასთანავე დაპატიჟებულ იქნა საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფ. მინისტრი ბ-ნი ევ. გეგეჭკორი, რომელიც კიდეც გვეწვია წინა დღით.

ცნობამ, რომ სოშოში ქართველებთან მოდიან ბ-ნი ჟან მარტენი და პროფ. ა. მალში, მიაღწია პეჟოს ქარხნის დირექციამდე, რომლის სოციალური დეპარტამენტის დირექტორმა ბ-მა გერენ დე ჟარდენმა მიიწვია ჩვენი საზოგადოების თავმჯდომარე ბ-ნი ვლ. ბაქრაძე, გადასცა მას თავისი სადარბაზო ბარათები ორთავე სტუმრის სახელზე და სთხოვა მათი მიპატიჟება მათ სასტუმროში ქ. მონდბელიარში სადილად.

ბ-მა ბაქრაძემ მიპატიჟება სიამოვნებით მიიღო, მაგრამ განუცხადა, რომ ეს ორი უუდიდესი მეგობარი ქართული საქმისა, ჟენევიდან მოდიან მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი ქართველების სანახავად და ამიტომ უწინარეს ყოვლისა ისინი ჩვენი სტუმრებია, ჩვენ კი მათი აღფრთოვანებული მასპინძლები ვართ, ვიდრე ისინი აქ დარჩენას მოისურვებენ და სთხოვა, რომ თვით ბ. გერენ დეჟარდენი და ბ. პეჟო ჩვენ გვწვევოდენ ბანკეტზე.

დაპატიჟება დირექციამ სიამოვნებით მიიღო და დამატებითი დასაპატიჟებელი ბარათები გაეგზავნა ბ-ნ როშერ და ჟანპიერ პეჟოს.

ბანკეტზე სამწუხაროდ თვით ბ-ნი პეჟო, რომელიც მეტად საჭირო საქმეების გამო მოკავებული იყო, ვერ დაგვესწრო და წერილობით მოიხადა ბოდიში. დირექციის რწმუნებულები და ბ-ნი გერენ დეჟარდენი კი გვეწვიენ.

ქართულ, ფრანგულ და შვეიცარულ დროშებით მორთულ დარბაზში, სუფრა გაწყობილი იყო ქართულ-ევროპიულად. მღეროდა ქართული გუნდი ბ. შენგელიას ხელმძღვანელობით და იყო ეროვნულ ტანსაცმელით ქართული ცეკვა.

ბანკეტის გახსნისას გრძნობით სავსე სიტყვით, ძვირფასს სტუმრებს მიესალმა საზოგადოების თავმ. ბ. ვლ. ბაქრაძე, რის შემდეგ ქართული ჩვეულების მიხედვით სუფრის თამადად არჩეულ იქნა ბ. ხ. შავიშვილი, რომელმაც საუცხოოდ შეასრულა სუფრის უფროსობის მოვალეობა. ძლიერ შინაარსიანი სიტყვებით მიესალმენ სტუმრებს, პირველად შავიშვილი როგორც თამადა, შემდეგ ბ. ევ. გეგეჭკორი, რომელმაც მათ გადასცა სალამი მთავრობის ყოფ. თავმჯ. ბ. ნ. ყორდანიას სახელით და ლამაზი ენით გააცნო ქართველებს, ისედაც კარგად ცნობილი მოღვაწეობა ქართველი ერის დასახმარებლად გაწეული ამ ორი დიდი ადამიანისა. აღნიშნულ იქნა აგრეთვე დიადი ჩვეულებანი კაცთ-მოყვარეობისა, სათნოებისა და ყოველი დაჩაგრულისათვის თავშესაფარის მიცემის, რომელიც ახასიათებს დიდს და საყვარელს საფრანგეთს, გაუსვა ხაზი აგრეთვე იმ უდიდესს მორალურ და ეკონომიურ დახმარების მნიშვნელობას, რომელსაც ბ-ნი პეჟოს დაწესებულება უწევს ადგილობრივ ქართველებს, მწუხარებით აღინიშნა რომ პირადად ბ-ნი პეჟო ვერ დაგვესწრო და ეთხოვა ბ-ნ გერენ დეჟარდენს, რომ გადასცეს მას ჩვენს სალამთან ერთად, ჩვენი გულწრფელი მადლობაც. ლამაზი სიტყვით მიესალმა სტუმრებს ახალგაზდების სახელით ე. გრიგოლაშვილი. განსაკუთრებული აღფრთოვანებით და ოვაციებით შეხვდა საზოგადოება ბ.ბ. ჟან მარტენის და პროფ. ა. მალშის სიტყვებს *). სოციალური დეპარტამენტის დირექტორმა ბ-ნ გერენ დეჟარდენმა გამოსთქვა რა უდიდესი სიხარული და აღტაცება, რომ მას საშვალება მიეცა ქართველების ახლო გაცნობისა, დასძინა, რომ ის მუდამ მზად იქნება ქართველების დახმარების და ხელის შეწყობისათვის. ბოლოს სთქვა, რომ განთავისუფლებულ საქართველოში ადგილო-

---

*) ეს სიტყვები დაიბეჭდება შემდეგ ნუმერში.
რ ე დ.

ბრივ ქართველებს ის გაამგზავრებს ქართველებისავე გაკეთებულ დიდი ავტომობილით ყველას ერთად.

ჯერ თამადა და შემდეგ საზოგადოების თავმჯდომარე ბ ნი ბაქრაძე მადლობას უხდის სტუმრებს და საღამოს 5 საათზე დიდების გალობით ბანკეტი დასრულდა.

საღამოთი ჩვენი სტუმრები და ბ ნი ბაქრაძე მიპატიჟებული იყვნენ ბ ნ დეჟარდენის მიერ სერკლ ოტელში ვახშმად.

მეორე დღეს გამართულ იქმნა სადილი, რომელსაც გარდა სტუმრებისა არავინ დასწრებია. ეს იყო ნამდვილი მეგობრული საუბარი მეგობრებთან.

დღის სამ საათზე ძვირფასი სტუმრები გაემგზავრენ შვეიცარიაში.

ი. ბ.

მ ო წ ო დ ე ბ ა

ძვირფასო თანამემამულენო, ქართველნო!

უკვე ათეული წლები გადის მას შემდეგ, რაც მწარე ბედმა საყვარელ მიწა წყალს მოგგვლიჯა და პირველად თხელი, მაგრამ დროთა განმავლობაში თანდათანობით შემრავლებული ქართველი ემიგრაცია გაფანტულია სხვადასხვა ქვეყნის მრავალ კუთხეებში; ამათ შორის საფრანგეთში ყველაზე მეტია. ამ განცდის გზაზე, მიუხედავად ყოველი შევიწროებისა, ქართველი ისე არ დაცემულა, რომ თითით საჩვენებელი გამხდარიყოს და მით ჩირქი მიეცხოს თავისი ერის სახელისათვის.

მეორე მხრივ, თუ გადავხედავთ განვლილ გზას უცხოეთში, არც არაფრით აღგვიბეჭდავს დაღი ჩვენი ყოფნა-ცხოვრებისა და კულტურული ხარისხისა, სხვის მიწა-წყალზე. რა ვიყავით, რა ვართ და რა ვიქნებით?..

რამდენი ახალგაზდა სიცოცხლე მოაზრო დედინაცვალმა ბუნებამ? რამდენ ჯერ კიდევ ხუჭუჭ თმიანს დაუბნელა სიცოცხლით აღსავსე თვალები? რამდენი შეიპყრო განუკურნებელმა სენმა და იმსხვერპლა კიდეც?

... და ეს საბრალო მსხვერპლნი რა იმედით ხუჭავდენ უკანასკნელად თვალს? დაუტირებელნი და განუკითხავნი—ნუ თუ იმ იმედით, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ მათ ძვლებს ზევით ამოჰყრიდნენ, რომ გორც უფლება აყრილთ და ერთხელ კიდევ ჩასძახებდენ: «დევნილი ხარ არა მარტო შენი ქვეყნიდან, არამედ მიწიდანაცა!»

ნუ თუ, ქართველო მეთვისტომეევ! ისე დაგვიჩლუნდგა თვითეულ ჩვენთაგანს გრძნობა, რომ აღარ იმჩნევს საყვედურს შეურაცხყოფილი მოძმის ძვლებისას?..

ნუ თუ საბრალო ჩვენი თავი ღირსი არ არის ამ ქვეყანაზე ორი ალაბი მიწისა?

ქართველნო! ქალნო და კაცნო! დიდო და პატარავ! ისმინე ვედრება ბედშავ მოძმისა, ძვლების ღალადი, მოუპოვოთ უფლება «ორი ალაბი» მიწისა!

შევიძინოთ საკუთარი სასაფლავო, მოვაგროვოთ ჩვენი უპატრონო მიცვალებულები ერთად და მოუაროთ მშობლიური გრძნობით მათ საუკუნო განსასვენებელს.

ნ. გოგუაძისა.

P. S. უმორჩილესად ვთხოვთ ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთს, გადაბეჭდონ ეს მოწოდება.

ნ. გ.

აკ. ჩხენკელი თავის უღრმეს მადლობას უძღვნის იმ პირთ, ვინც მას სიტყვიერად თუ წერილობით თანაგრძნობა გამოუცხადა მისი საყვარელი ძმის ექმიმ მიხეილ ჩხენკელის მტრის მიერ ვერაგულად დაღუპვის გამო.

სამგლოვიარო ფურცელი

11 დეკემბერს კვირას ნაშუადღევის სამ საათზე Bagneux-ს სასაფლაოზე გადახდილი იქნება ნ. რამიშვილის სამოქალაქო პანაშვიდი.

— კვირას 18 დეკემბერს თორმეტ საათზე უკრაინელების ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი ს. მდივნის გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად.

— ამაწლის 30 აგვისტოს, პარიზის საავადმყოფოში გარდაიცვალა ვასო თოთიბაძე. განსვენებული დასაფლავებულ იქნა სოფ. ლევილის სასაფლაოზე 3 სექტემბერს.

ახალი წიგნი

გამოვიდა ს. ფირცხალავას ისტორ. ესკისები

თ ა მ ა რ მ ე ფ ე

იყიდება ი. გოგოლაშვილთან პარიზში.

გაზეთისათვის დასაბეჭდი მასალები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

M-r PIRTSKALAVA

10. rue Jules Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)

France.

Leuville-sur-Orge. — *Imprimerie de Leuville.*

Le Gérant : J. DUCROS

0-1205